F 75/ვ 13914

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 266 (5367) | ორშაბათი, 21 ნოემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება შესაძენი საქმეა. სწორედ ახლა, სსრ კავშირში საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმის გამარჯვების დროს, შექმნილია განუსაზღვრელი შესაძლებლობანი იმისათვის, რათა ჩვენი ხელმძღვანელი კადრები წარმატებით ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სწავლობდნენ პარტიის ისტორიას, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის შრომებს.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ"

ტომსკის სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივი — ამხანაგ სტალინს

ძვირფასო, საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ჩვენ უდიდესი სიხარულით შევიტყეთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მიაკუთვნოს ინსტიტუტს თქვენი თანამებრძოლის, საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ მოლოტოვის სახელი. ეს გადაწყვეტილება აღგვაფრთოვანებს ჩვენ — კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ მთელი ჩვენი სამეცნიერო მუშაობა, რათა მოვამზადოთ ისეთი სპეციალისტები, რომლებიც დღევანდელი დღის ღირსნი არიან და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურებიან.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, რომ გავამართლებთ პარტიისა და მთავრობის ნდობას, ყოველივე ღონეს ვიხმართ მეცნიერების აყვავებისათვის, სამშობლოს აყვავებისა და განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს ბოლშევიკთა პარტიას!

გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!

(მიღებულია ტომსკის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა და მეცნიერ მუშაკთა მიტინგებზე).

ტომსკი, 17 ნოემბერი.

ხალხთა სტალინური მეგობრობის მძლავრი დემონსტრაცია

ყველა მშრომელთა მეხსიერებაში ღრმად არის აღბეჭდილი მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების მზადების ისტორიული დღეები.

ამ დღეებში ჩვენ მოწამენი ვიყავით მშრომელთა მასების არაჩვეულებრივი პოლიტიკური და საწარმოო ენტუზიაზმისა. უმაღლესი საბჭოების არჩევნების სანიმუშოდ ჩატარებისათვის მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ გაზეთ „ზარია ვოსტოკას" საშუალებით წერილობით მიმართა უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს. შემდეგ უკრაინელმა კოლმეურნეებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს სოფ. შრომის კოლმეურნენი. ხალხთა მეგობრობაზე დიდი სტალინის სიტყვებით აღფრთოვანებულებმა უკრაინის და საქართველოს კოლმეურნეებმა გააჩაღეს სოცშეჯიბრება მაღალი მოსავლის მიღებისათვის. უმაღლესი საბჭოების არჩევნების მზადების სასახელო დღეებშივე მახარაძის რაიონის ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით მიმართეს სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის პატარა-შაღრიარის კოლმეურნეობის წევრებს და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს სომხეთის კოლმეურნეები. მოძმე უკრაინის, საქართველოს და სომხეთის კოლმეურნეთა შორის გაჩაღდა საქმიანი, გულთბილი მიწერ-მოწერა და აზვირთდა სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ტალღა. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 21 წლის დღესასწაულის აღსანიშნავ დღეებში საქართველოს მშრომელთ ბედნიერება ჰქონდათ თავიანთ ზარაქიან მიწა-წყალზე მიეღოთ აყვავებული უკრაინის მშრომელთა დელეგაცია და აყვავებული სომხეთის კოლმეურნეთა დელეგაცია.

18 ნოემბერს, უკრაინის მშრომელთა დელეგაცია გაემგზავრა თავის სამშობლოში, ხოლო 6 დღის წინ საქართველოდან გაემგზავრა სომხეთის კოლმეურნეთა დელეგაცია. სამი მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეხვედრა გადაიქცა ხალხთა სტალინური მეგობრობის ნამდვილ დემონსტრაციად.

საბჭოთა უკრაინის, საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა სომხეთის კოლმეურნეთა შეხვედრამ კიდევ ერთი ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა ხალხთა სტალინური მეგობრობის ისტორიაში.

ეს შეხვედრა ჭეშმარიტად შესანიშნავი და გულმხურვალე შეხვედრა იყო. საბჭოთა საქართველოს მშვენიერ მიწა-წყალზე შეიკრიბნენ მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენელნი იმისათვის, რათა ურთიერთისთვის გაეზიარებინათ მუშაობის გამოცდილება და შეეჯამებინათ კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში მიღწეული პირველი შედეგები.

ამგვარი შეხვედრა წარმოუდგენელი იყო ცარიზმის დროს, მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ბატონობის დროს.

ცარიზმი, მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები ხალხთა შორის შუღლს სთესდნენ. მხოლოდ ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, მშრომელთა უდიდესმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა დაამყარეს ხალხთა შორის მეგობრობა, გასრისეს ნაციონალიზმის გველეშაპი და საბჭოთა კავშირის ხალხებს გზა გაუხსნეს ახალი, მშვენიერი ცხოვრებისაკენ.

აყვავებული უკრაინის, მზიური საქართველოს და აყვავებული სომხეთის კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენელნი ერთმანეთს შეხვდნენ გორში, პატარა უბრალო სახლის კედლებთან, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა მთელი მშრომელი კაცობრიობის იმედმა და სიხარულმა, იმან, ვისმა სახელმაც სამუდამოდ და ურყევად შეაკავშირა დიადი სტალინური მეგობრობით საბჭოთა კავშირის მრავალ ეროვანი ხალხები სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენელთა შეხვედრა ბელადის სამშობლოში ხალხთა სტალინური მეგობრობის ტრიუმფად, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმად გადაიქცა.

მოძმე უკრაინის მშრომელთა დელეგაციის და მოძმე სომეხ კოლმეურნეთა დელეგაციის შეხვედრა ჩატარდა ფრიად საქმიან ურთიერთობაში. უკრაინელმა და სომეხმა კოლმეურნეებმა შეამოწმეს სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგები. ფაქტები მოწმობენ, რომ სოცშეჯიბრებაში ჩაბმულმა კოლმეურნეებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს.

სომეხ, უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა შორის გაჩაღებული სოცშეჯიბრება კიდევ უფრო გაღრმავდა სტუმრების საქართველოში ყოფნის დროს. მაგალითად, ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ზაპოროჟიეს რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა, ბათუმის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ კი უკრაინის სსრ კოლმეურნეობა „ნოვი აზოვი". მახარაძის რაიონის შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია კოლმეურნეობა „ნოვი აზოვი". სოცშეჯიბრებაში ურთიერთგამოწვევა კოლმეურნეთა მიერ ერთსულოვნად იქნა მიღებული.

სოცშეჯიბრებაში ჩაბმულმა კოლმეურნეობებმა დასდეს ახალი ხელშეკრულებანი 1939 წელს მაღალი სტალინური მოსავლის მიღებისათვის. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის დროშით უკრაინის, სომხეთის და საქართველოს კოლმეურნეობანი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. სოცშეჯიბრების პირველმა შედეგებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს თავბრუდახვევა წარმატებებისაგან. საჭიროა მუშაობის კიდევ უფრო დამკვრელური ტემპების გაჩაღება, რათა სასახელოდ შევასრულოთ 1939 წლის სამუშაოთა გეგმები.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სოცშეჯიბრებაში ჩავაბათ მოძმე უკრაინისა და სომხეთის კოლმეურნეთა ფართო მასები. მოძმე რესპუბლიკებს შორის სოცშეჯიბრება ახალი ძალით უნდა გავშალოთ, ეს სოცშეჯიბრება კიდევ უფრო მასობრივი გავხადოთ და მივაღწიოთ ახალ საკოლმეურნეო წარმატებებს, ახალ გამარჯვებებს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სასარგებლოდ.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სოცშეჯიბრების გაშლით დავეხმაროთ ჩამორჩენილებს გეგმების წარმატებით შესრულებაში. „სოციალისტური შეჯიბრების პრინციპია,—გვასწავლის ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი, — ჩამორჩენილთათვის ამხანაგური **დახმარება** მოწინავეების მხრით, იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას **საერთო** აღმავლობა. კონკურენცია ამბობს: **საბოლოოდ გაანადგურე ჩამორჩენილნი,** რათა განამტკიცო შენი ბატონობა. სოციალისტური შეჯიბრება ამბობს: ერთნი მუშაობენ ცუდად, მეორენი კარგად, მესამენი უკეთესად, — დაეწიე **საუკეთესოებს და მიაღწიე საერთო აღმავლობას**".

საქართველოს კოლმეურნეთა შორის ფართოდ უნდა გაიშალოს მასობრივი თავდაცვითი მუშაობა. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენში მუშაობა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გაშლილი. საქართველოს კოლმეურნეობანი უნდა გადავაქციოთ მტრისათვის მიუვალ ციხესიმაგრეებად. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს დიდი ბელადის მითითება კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ.

დიდი ამოცანების წინაშე დგას ჩვენი პრესა. საბჭოთა საქართველოს სოლქო და რაიონული გაზეთები უნდა გახდნენ სოცშეჯიბრების მოთავენი. გაზეთების ფურცლებზე ფართოდ უნდა გაშუქდეს მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეთა შეჯიბრების მიმდინარეობა და მოწინავეთა გამოცდილება. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოწინავეთა გამოცდილება ხელმისაწვდომი გავხადოთ ყველა კოლმეურნეობის, ბრიგადებისა და კოლმეურნეთათვის.

კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოცშეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის დროშა სოციალისტურ მინდვრებზე.

კიდევ უფრო განვამტკიცოთ ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა — ეს ძვირფასი და სერიოზული მონაპოვარი.

საბჭოთა უკრაინის მშრომელთა დელეგაცია მახარაძის რაიონში.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხ. ფ. კლიმენკო. ლ. პალამარჩუკი. თ. პრიბიში, საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. გ. თვალჭრელიძე და ვ. კუშნარენკო.

ფოტო თ. იმედაძისა.

მთელი მსოფლიო აღშფოთებულია ებრაელთა რბევით გერმანიაში

გააფთრებულმა ანტისემიტურმა კამპანიამ, რაც გერმანიის ფაშისტებმა გააჩაღეს, შეაშფოთა ამერიკის ხალხი. მთავრობის წრეები, პროფკავშირული და სხვა მასობრივი ორგანიზაციები, ამერიკის ყველა გაზეთი, ცნობილი მწერლები და ამერიკის ინტელიგენციის სხვადასხვა წარმომადგენლები გადაჭრით ჰგმობენ გერმანელ ფაშისტთა ბარბაროსულ მოქმედებას. საზოგადოებრივი აზრის აღშფოთება იმდენად დიდია, რომ ნიუ-იორკსა და სხვა ქალაქებში პოლიცია იძულებულია მთელი დღე-ღამის განმავლობაში დაიცვას გერმანიის საკონსულოები და გერმანიის გემები, რომლებიც ნავსადგურებში დგანან.

ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ გრინმა წერილით მიმართა ფედერაციაში შემავალ ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას, რომლებსაც წინადადებას აძლევს დაუყოვნებლივ გააჩაღონ ანტიფაშისტური კამპანია.

ამერიკის კონგრესის წევრმა ო'ტულმა, დემოკრატმა ნიუ-იორკის შტატიდან განაცხადა, რომ იგი კონგრესის მორიგ სესიაზე შეიტანს წინადადებას გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ, თუ იგი არ შესწყვეტს ებრაელთა და კათოლიკეთა დევნას.

პრეზიდენტმა რუზველტმა განაცხადა, რომ მან წინადადება მისცა შრომის სამინისტროს 6 თვით გაუგრძელონ ვიზა 12 ათას ავსტრიელ და გერმანელ ლტოლვილს, რომლებიც ამას წინათ ჩავიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. „ჩვენ მკაცრად და არაადამიანურად მოვიქცეოდით, — განუცხადა რუზველტმა პრესის წარმომადგენლებს, — ეს ლტოლვილები რომ გვეიძულებინა დაბრუნებულიყვნენ გერმანიაში, სადაც მათ მოათავსებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში ან სხვაგვარ დევნას დაუწყებდნენ".

* * *

ინგლისის ფინანსთა მინისტრმა ჯონ საიმონმა, როდესაც მან სიტყვა წარმოსთქვა რილში (ჩრდილო უელსი), განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა სხვა ქვეყნების მთავრობებთან თანამშრომლობით მზად არის გააკეთოს ყველაფერი, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს გერმანელ ლტოლვილთა გადმოსახლებას.

ინგლისის მთავრობა,—სთქვა საიმონმა, — გერმანელ ლტოლვილთა დასახლების პრობლემას უყურებს როგორც ერთერთ სერიოზულ პრობლემას, და მას საჭიროდ მიაჩნია მისი სასწრაფოდ გადაჭრა.

ინგლისის ინდოეთის საქმეთა მინისტრმა ზეტლენდმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა მზად არის დაასახლოს გერმანელ ებრაელთა ნაწილი ბრიტანეთის ინდოეთის ტერიტორიაზე. ზეტლენდი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ გერმანიაში მომხდარმა უკანასკნელმა ამბებმა „ძალიან შეარყიეს მიუნხენის შეთანხმების საფუძველი".

ინგლისის ყოფილმა ტრანსპორტის მინისტრმა კონსერვატორმა ლორდ მაუნტ ტემპლმა განცხადება შეიტანა ინგლის-გერმანიის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომის შესახებ და თავისი გადადგომა იმით დაასაბუთა, რომ იგი აღშფოთებულია ებრაელთა დევნით გერმანიაში.

მცველი რაზმების წევრთა და ოფიცერთა დახვრეტა გერმანიაში

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „უორლდ ტელეგრამი" იუწყება, რომ ამასწინათ გერმანიაში დახვრიტეს მცველი რაზმების („სს") 40 წევრი და რამდენიმე ოფიცერი, რომლებიც რაიხენჰოლის (ბავარია) რადიოსადგურზე მსახურობდნენ. გაზეთის სიტყვით, გერმანიის მთავრობამ მათ ბრალი დასდო იმაში, რომ მათ ხელი არ შეუშალეს მოკლეტალღოვანი რადიოსადგურების ანტიფაშისტურ რადიოგადაცემას ჩეხოსლოვაკიიდან და შვეიცარიიდან. რაიხენჰოლის რადიოსადგური თავის ამოცანად ისახავს ხელი შეუშალოს ანტიფაშისტურ რადიოგადაცემებს.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები

პარიზი, 19 ნოემბერი (საკდესი). გუშინ ნანტში შესდგა შრომის საყოველთაო კონფედერაციის ნაციონალური კომიტეტის სხდომა. ამ სხდომაზე ხელახლად იქნა არჩეული შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიუროს წინანდელი შემადგენლობა. ბიუროში შედიან: გენერალური მდივანი ლეონ ჟუო, მდივნის მოადგილეები — ბუისონი, ფრაშონი, რაკამონი, ბოტერო, ბელენი, ბუიე და ხაზინადარი დიუპონი.

შემდეგ მოხდა არჩევნები შრომის საყოველთაო კონფედერაციის ადმინისტრატიული კომისიისა, რომელიც 45 წევრისაგან შესდგება. კომისიის არჩევნები ფარული კენჭისყრით ჩატარდა და ამ კენჭისყრის შედეგები ჯერ არ არის გამოცხადებული.

ნაციონალური კომიტეტის შემდგომი სხდომა მიძღვნილი იყო ნანტის ყრილობის მიერ ახლახან მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების, და, კერძოდ, იმ საკითხის განხილვისადმი, რომელიც შეეხება საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ საპროტესტო ნაციონალური დღის ორგანიზაციას, რაც 26 ნოემბრისათვის არის დანიშნული.

ჩინეთის განსაკუთრებულ რაიონში

ჩუნცინი, 18 ნოემბერი (საკდესი). გაზეთმა „სინხუაჟიბაომ" გამოაქვეყნა სტატია განსაკუთრებული (ყოფილი საბჭოთა) რაიონის წარმატებათა შესახებ. ეს რაიონი მდებარეობს შენსის, განსუს და ნინსიას პროვინციათა საზღვარზე, გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ რაიონში ყველაზე უფრო ფართოდ ტარდება მუშაობა იაპონელ დამპყრობელებთან საბრძოლველად ხალხის მასების ორგანიზაციისათვის, და განსაკუთრებით ჩერდება ფართო დემოკრატიულ განვითარებაზე რაიონში. მთელ მოსახლეობას, დამოუკიდებლად სქესის, რელიგიის, პროფესიისა და რასული კუთვნილებისა, აქვს არჩევნების უფლება, სიტყვის, კრების და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, ორგანიზაციების შექმნისა და სამშობლოს მტრების წინააღმდეგ შეიარაღების უფლება.

სანაპირო რაიონის არსებობის ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხალხის საარსებო პირობები. ამჟამად ყველა გლეხს აქვს მიწა. ბევრი მძიმე გადასახადი და ხარკი გაუქმებულია. სწრაფად ვითარდება კოოპერატივები და სასოფლო-სამეურნეო კრედიტი.

დიდი მიღწევებია რაიონის კულტურული მშენებლობის დარგში. ამ, წინათ ჩამორჩენილ, რაიონში ახლა სკოლები საკმაოდ არის. გასულ წელს მუშაობდა 545 დაწყებითი სკოლა, რომლებშიაც სწავლობდა 10.396 მოწაფე. ამჟამად მუშაობს 706 სკოლა, რომლებშიც სწავლობს 14.207 მოსწავლე. გასულ წელს შეიქმნა 341 კლუბი, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის 5.834 ჯგუფი, 208 საღამოს სკოლა, რომლებშიც სწავლობს 2.836 კაცი, და, ბოლოს, 619 საზამთრო სკოლა 10.337 მოსწავლით.

სტატია მთავრდება სიტყვებით: „მთელი მუშაობა სანაპირო რაიონის რეკონსტრუქციის დარგში ტარდება ნაციონალური მთავრობის პოლიტიკურ მითითებათა მიხედვით. ამ დიდ სამშენებლო მუშაობას ხელმძღვანელობს ჩინეთის კომუნისტური პარტია. ხალხის ინტერესების დაცვა და ხალხის მასების შეიარაღებული ძალების გადიდება უზრუნველჰყოფენ საბოლოო გამარჯვებას ქვეყნის განმათავისუფლებელ ომში და ნაციონალურ რეკონსტრუქციაში".

ჰელის განცხადება

ვაშინგტონი, 19 ნოემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა განაცხადა, რომ მან წინადადება მისცა ემიგრანტთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს ტეილორს გაემგზავროს ლონდონს, რათა დააჩქაროს გერმანელ ლტოლვილთათვის დახმარების აღმოჩენის საკითხის გადაჭრა. „იმ ამბებთან დაკავშირებით, რაც გერმანიაში ხდება, — განაცხადა ჰელმა,—უაღრესად საჭიროა ვიპოვოთ თავშესაფარი ასიათასობით ადამიანისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამ მხრივ უკვე ღებულობს მთელ რიგ ზომებს, მე დარწმუნებული ვარ, უკანასკნელმა ამბებმა ბევრ სხვა ქვეყანას დაანახვა, რომ საჭიროა კოლექტიური ღონისძიებანი ამ პრობლემის გადაჭრის დროს".

იაპონიის პასუხი ამერიკის ნოტაზე

ტოკიო, 19 ნოემბერი (საკდესი). გუშინ საღამოს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა არიტამ ამერიკის ტოკიოელ ელჩ გრიუს გადასცა იაპონიის მთავრობის ნოტა ამერიკის მთავრობის 10 ოქტომბრის ნოტის პასუხად, რომელიც ეხებოდა იაპონელთა მიერ ამერიკის მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დარღვევას ჩინეთში. იაპონიის ნოტა ფაქტიურად ნიშნავს 9 სახელმწიფოს ხელშეკრულებაზე უარის თქმას. იმ შეზღუდვებს, რომლებიც იაპონელებმა უცხოელებისათვის შემოიღეს ჩინეთის ოკუპირებულ რაიონებში, ნოტა იმით ასაბუთებს, რომ ჩინეთში სწარმოებს სამხედრო მოქმედება და საჭიროა „სამხედრო საიდუმლოებათა" დაცვა.

ნოტა აცხადებს, რომ „ვერავითარი ცდა აღმოსავლეთ აზიაში დღევანდელ ვითარებას შეუფარდონ წარსულის პრინციპები და იდეები (გადაკვრით არის ლაპარაკი 9 სახელმწიფოს ხელშეკრულებაზე) ვერ გამოიწვევს წამოჭრილი საკითხების გადაჭრას და მშვიდობიანობას შორეულ აღმოსავლეთში". დასასრულ ნოტა, მთელი თავისი შინაარსის სრულ საწინააღმდეგოდ, აღნიშნავს, რომ იაპონიას არ აქვს სურვილი ხელი შეუშალოს ამერიკის მონაწილეობას „ახალი აზიის" მშენებლობაში.

ხასანის გმირები სოხუმში

(ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

19 ნოემბერს სოხუმში სოჭიდან ჩამოვიდნენ ხასანის ბრძოლების მონაწილენი, რომლებსაც ადგილობრივმა მშრომელებმა მხურვალე შეხვედრა მოუწყეს.

ქალაქის საბჭომ მოიწვია თავისი პლენუმის საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ხასანის გმირების შეხვედრისადმი. პლენუმის საზეიმო სხდომას დაესწრნენ, აგრეთვე პარტიული, კომკავშირული, პროფესიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომაზე მოვიდნენ სტუმრები დასასვენებელი სახლებიდან და სანატორიუმებიდან, მათ შორის არის ლენინის ორდენოსანი მფრინავი ქალი ლომაკო.

პლენუმი გახსნა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ცეკვავამ. დიდხანს არ შეწყვეტილა მქუხარე ოვაციები, დიდი სტალინის სამშობლოს, წითელი არმიის, ხალხთა მეგობრობის პატივსაცემად.

პლენუმმა საპატიო პრეზიდიუმში აირჩია ამხანაგები: **სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ანდრეევი, ჟდანოვი, მიქოიანი, ეჟოვი, ხრუშჩოვი, ბერია, ხოზე დიასი, ტელმანი, დიმიტროვი, ჩარკვიანი.**

თავიანთი ბრძოლების შესახებ მეტად საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ბატალიონის კომისარი ალექსანდრე პიატაევი, საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტანი დ. ლევჩენკო, უმცროსი მეთაური ალექსანდრე გოლიანოვი, ტანკისტი ა. პიატაევი და № ნაწილის კომისარი ი. ეფიმოვი.

დამსწრენი მხურვალე ტაშით აჯილდოებდნენ თვითეულ მათგანს, როდესაც ისინი მოუთხრობდნენ თავიანთ და სხვა მებრძოლთა გმირობაზე.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლევჩენკოს, გოლიანოვისა და ეფიმოვის მოგონებებმა იმის შესახებ, თუ როგორ მუსრავდნენ ისინი იაპონელ სამურაებს.

ხასანის მებრძოლებს სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის სტახანოველთა სახელით მიესალმა სტახანოველი ქალი გულია, სოხუმის ინტელიგენციის სახელით — გერია.

პლენუმმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხანაგ სტალინს, ვოროშილოვს და ბერიას.

ზ. მერკვილაძე.

მეთაურთა არტილერისტების ახალი რაზმი

ლენინგრადი, 19 ნოემბერი (საკდესი). დღეს წითელი არმიის ს. მ. კიროვის სახელობის სახლში მოხდა იმ მეთაურთა და ინჟინერთა ჯგუფის საზეიმო გამოშვება, რომლებმაც დაამთავრეს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი საარტილერიო აკადემია.

ეს არის მძლავრი წითელი არმიის ღირსეული შევსება. კურსდამთავრებულთა 36.3 პროცენტმა სახელმწიფო გამოცდები ფრიადზე ჩააბარა. მრავალი კურსდამთავრებული სამოქალაქო ომის მონაწილეა და დაჯილდოებულია მედლით „მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წელი".

ყინულმჭრელ „სედოვის" დრეიფი

ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში ყინულმჭრელი „სედოვი", დრეიფობდა რა ყინულებთან ერთად, სწრაფად მიექანებოდა ჩრდილოეთისაკენ. 14 ნოემბერს იგი იმყოფებოდა განედის 85 გრადუსსა და 39 წუთზე და აღმოსავლეთი გრძედის 126 გრადუსსა და 16 წუთზე. შემდეგ მოდრეიფე ხომალდმა მკვეთრად შესცვალა თავისი კურსი სამხრეთ - დასავლეთისაკენ. ამ მიმართულებით იგი განაგრძობს შემდგომს დრეიფობას.

19 ნოემბერს ყინულმჭრელი „სედოვი" იმყოფებოდა განედის 85 გრადუსსა და 25 წუთზე და აღმოსავლეთი გრძედის 127 გრადუსსა და 01 წუთზე.

ლაშქრობა მაღალ მთებში

მოსკოვი, 19 ნოემბერი (საკკორ.) წითელი არმიის მეთაურთა და მებრძოლთა ჯგუფი შეუდგა ლაშქრობას მაღალ მთებზე—ორჯონიკიძიდან თბილისამდე. როგორც გაზეთი „კრასნაია ზვეზდა" იუწყება, 16 ნოემბერს ამ ჯგუფმა მიაღწია სოფ. სურხახის, ხოლო 17 ნოემბერს—სოფ. მუჟიჩიეს. გუშინ რაზმი გაემართა წინ და აიღო კურსი დათვის ყელტეხილისაკენ.

* * *

14 ნოემბერს ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის № წითელდროშოვანი ნაწილის რაზმმა, რომელიც ამ ცოტა ხანში თავისი არსებობის 20 წლისთავს იზეიმებს, დაიწყო ცხენებით ლაშქრობა მაღალ მთებში. რაზმი, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან საუკეთესო ფრიადოსანი მებრძოლები, სრული საბრძოლო საჭურველით გაივლის სერგო ორჯონიკიძის მიერ სამოქალაქო ომის დროს გავლილი გმირული საბრძოლო გზით და ქალაქ ორჯონიკიძიდან მთიან ინგუშეთზე და ხევსურეთზე გადმოვლით ჩამოვა თბილისში. მარშრუტის მანძილი უდრის 325 კილომეტრს.

„პრავდა"

დამთავრდა თავდაცვა-ავიაქიმის ლატარიის ტირაჟი

ნალჩიკი, 18 ნოემბერი (საკდესი). დღეს საღამოს აქ დამთავრდა თავდაცვა - ავიაქიმის საკავშირო მე-12 ლატარიის მოგებათა ტირაჟი. მოგების ცხრილი ამ დღეებში გამოქვეყნდება პრესაში.

საბჭოთა კავშირში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტისა და მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის მიერ მოწყობილმა საბჭოთა მუსიკის დეკადამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის საზოგადოებრიობაში. განსაკუთრებული წარმატება ჰხვდა წილად სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის გამოსვლას ევგენი მრავინსკის ხელმძღვანელობით. აღფრთოვანებით მიიღო აუდიტორიამ სსრ კავშირის წითელარმიელთა სიმღერებისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის გამოსვლა.

* * *

მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ტექნიკური პროპაგანდის განყოფილება შეუდგა კინო-ჟურნალის „მაშინოსტროენიეს" გამოცემას. ჟურნალის თვითეულ ნომერში შევა ტექნიკური ფილმი, რომელიც აჩვენებს შრომის სტახანოვურ მეთოდებსა და წარმოების სიახლეებს.

* * *

ქალაქ ასტრახანის რევოლუციური ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული სერგეი მირონის-ძე კიროვის სახელთან. ამჟამად ქალაქში ეწყობა ს. მ. კიროვის მუზეუმი. ამ მიზნისათვის გამოყოფილია 5 ოთახი იმ შენობაში, სადაც 1919 წელს მე-11 არმიის შტაბი და პოლიტგანყოფილება იმყოფებოდა. სავსებით აღდგენილი იქნება ს. მ. კიროვის სამუშაო კაბინეტი.

* * *

30 ნოემბერს კავშირთა სახლის (მოსკოვი) სვეტებიანი დარბაზის ფოიეში იხსნება საიუბილეო გამოფენა, მიძღვნილი დიდი რუსი ხუროთმოძღვარი მ. ფ. კაზაკოვის დაბადების 200 წლისთავისადმი. არქიტექტურის სრულიად-საკავშირო აკადემიის გამომცემლობა რამდენიმე ნაშრომს გამოსცემს გენიალური ხუროთმოძღვრის შემოქმედების შესახებ.

* * *

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის კომისია შეუდგა მოსკოვ-გორკის ფოტო-სატელეგრაფო კავშირგაბმულობის უკვე დამთავრებული ახალი ხაზის მიღებას. ხაზის ნორმალური ექსპლოატაციის დაწყება განზრახულია დეკემბრის დამდეგისათვის.

უკანასკნელი ცნობები

ნორთუმბერლენდის მაღაროელთა კონფერენცია

ლონდონი, 20 ნოემბერი (საკდესი). გუშინ ნიუკესტლში გაიხსნა ნორთუმბერლენდის საგრაფოს ქვანახშირის შახტების მაღაროელთა გაერთიანებული კონფერენცია, სადაც განხილული იქნება საკითხი საბჭოთა კავშირის შახტებში შრომის დაცვის გამოცდილების გამოყენების შესახებ, რათა იგი გადმოტანილ იქნას ინგლისის შახტებში. გაერთიანების რამდენიმე მუშაკმა ამ უკანასკნელ წლებში ინახულა სსრ კავშირი და ის წინადადებანი, რომელნიც მათ ახლა შემოაქვთ, დამყარებულია იმაზე, რომ ისინი იცნობენ შრომის დაცვის დაყენებას საბჭოთა შახტებში.

წამოყენებულია წინადადება შეიქმნას თვითეულ შახტში დაშავებულთათვის პირველი დახმარების აღმოჩენის პუნქტი. პირველი დახმარების პუნქტების შენახვისათვის საჭირო სახსრებს მაღაროელთა გაერთიანება შახტების მფლობელთაგან მოითხოვს.

საქართველოს სახკომსაბჭოში

ვერცხლისებრი ტკიპისა და ციტრუსოვანთა სხვა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

ა. წ. 17 ნოემბერს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა საკითხი ვერცხლისებრი ტკიპისა და ციტრუსოვანთა სხვა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 1938-39 წლებში.

ვერცხლისებრი ტკიპით და სხვა მავნებლებით ციტრუსოვანთა დაავადების ლიკვიდაციის მიზნით, საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა 1938-39 წლების ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში საქართველოს სს რესპუბლიკის ციტრუსოვანთა ყველა რაიონში ჩატარებულ იქნას 2-პროცენტიანი ზეთიანი ემულსიით მოსხურება ციტრუსოვანთა უკლებლივ ყველა ნარგავისა — კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და საკარმიდამო მეურნეობებში. ცვილისებრი ჭიით და სხვა საკარანტინო ობიექტებით დაავადების კერებში, ვიდრე ეს ხეები მოსხურებულ იქნება ზეთიანი ემულსიით, ჩატარდეს დაავადებული ხეების ფუმიგაცია ციანის ნატრიუმით კარვებსა და ფანერის კამერებში.

სახკომსაბჭომ დააწესა მუშაობის შემდეგი ვადები: ზეთიანი ემულსიით მოსხურება ყველა ახალგაზრდა ნარგავისა, მათ შორის იმათიც, რომლებიც უნდა შეიფუთოს, დამთავრდეს 1938 წლის 1 დეკემბრისათვის, ხოლო მსხმოიარე პლანტაციებში მოსხურება დაწყებულ იქნას ხილის კრეფის დამთავრებისთანავე და მკურნალობა დამთავრდეს არა უგვიანეს 1939 წლის 1 იანვრისა.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ციტრუსოვანთა ყველა რაიონს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ციანის ნატრიუმით ფუმიგაციის ჩატარებას ახალგაზრდა ნარგავებზე ფანერის კამერებში და ეს მუშაობა დაამთავრონ არა უგვიანეს 1939 წლის 1 აპრილისა; მსხმოიარე პლანტაციებში ფუმიგაცია ჩატარდეს 1938 წლის 20 ნოემბრიდან 1939 წლის 1 აპრილამდე.

ვერცხლისებრ ტკიპასთან 1939 წლის ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში ბრძოლის ჩასატარებლად სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ციტრუსოვანთა ყველა რაიონს დანერგოს კალიფორნიის სითხისა და გოგირდის ფხვნილის გამოყენება, რამაც ფრიად ეფექტიანი შედეგები მოგვცა აჭარაში 1938 წლის ზაფხულის პერიოდში.

მავნებლებთან ბრძოლის საწარმოებელი აპარატურის რემონტის უზრუნველსაყოფად სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სასოფლო - სამეურნეო მომარაგებას ციტრუსოვანთა რაიონებში გადაგზავნოს სასხურებლებთათვის რეზინისა და ლითონის სათადარიგო ნაწილები საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის განრიგის თანახმად.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სასოფლო - სამეურნეო მომარაგებას უზრუნველჰყოს რაიონებში აპარატურისა და გოგირდის ფხვნილის დროული შეტანა, აგრეთვე მოაწყოს კალიფორნიის სითხის მომზადება აჭარის ასს რესპუბლიკის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ბუკნარის ქარხანაში.

სახკომსაბჭომ ვერცხლისებრ ტკიპასთან ბრძოლისათვის ჩასატარებელ ღონისძიებათა ორგანიზაციისა და კარგი ხარისხით შესრულებისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა:

საქართველოს სს რესპუბლიკაში — საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ალავიძეს;

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. რაფავას;

აჭარის ასს რესპუბლიკაში — აჭარის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ფუტკარაძეს;

ლიმონ-მანდარინის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში — ლიმონმანდარინის ტრესტის დირექტორს ამხ. გაბუნიას;

„საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის“ ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში—„საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის“ ტრესტის დირექტორს ამხ. ქარჩავას; ციტრუსოვანთა დანარჩენ რაიონებში — რაიაღმასკომთა თავმჯდომარეებს.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ გააფრთხილა აფხაზეთისა და აჭარის სახკომსაბჭოები, აგრეთვე რაიაღმასკომთა თავმჯდომარეები და ციტრუსოვანთა ყველა რაიონის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, რომ ვერცხლისებრი ტკიპითა და სხვა მავნებლებით ციტრუსოვანთა დაავადების სალიკვიდაციო მუშაობის დროულად და გულმოდგინედ ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და დაავალა მათ პირადად ადევნონ თვალყური ამ დადგენილების განხორციელებას. (საქინფო).

კიბოს საწინააღმდეგო საერთაშორისო კვირეული

მზადება კვირეულისათვის

კიბოს საწინააღმდეგო კვირეულის ჩამტარებელმა რესპუბლიკურმა კომიტეტმა თავის უკანასკნელ გაფართოებულ სხდომაზე განიხილა თბილისისა და მისი რაიონების მზადება კიბოს კვირეულის ჩასატარებლად.

გამოირკვა, რომ კვირეულისათვის მზადება საუკეთესოდ არის გაშლილი თბილისის 26 კომუნარისა (მიმაგრებული — პროფ. პლ. შუშანია) და კიროვის (მიმაგრებული—პროფ. დ. იოსელიანი) რაიონებში. ამ რაიონებში დროზე შეადგინეს კვირეულის ჩატარების გეგმა, გამოჰყვეს მომხსენებლები, გააცნეს მათ მოხსენების თეზისები და სხვ. 26 კომუნარის რაიონის მთლიანმა დისპანსერმა (დირექტორი — ექ. ვ. არუშანოვი) მოიწვია აქტივის კრება, დაამზადა კვირეულისათვის საჭირო ლოზუნგები. ამ დისპანსერმა 27 ნოემბრისათვის მოიწვია ავადმყოფთა კონფერენცია, რომელზეც გაშუქებული იქნება კიბოსთან ბრძოლის ღონისძიებანი.

კვირეულისათვის მზადება ჯერჯერობით სუსტად არის გაშლილი თბილისის ლენინისა და სტალინის რაიონებში. ამ რაიონების ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგეებსა და ხელმძღვანელობისათვის მიმაგრებულებს კვირეულის უნაკლოდ ჩატარებისათვის საჭირო ზომები არ მიუღიათ.

კომიტეტმა საქართველოს რაიონებს ხელმძღვანელობის გასაწევად მიამაგრა: პროფ. ბ. ღოღობერიძე— სტალინირს, პროფ. გ. ნაზარიშვილი — ქუთაისს, დოც. ქ. ვეფხვაძე — სამტრედიასა და ბათუმს, ი. მაისაია — ფოთს, ივ. ეზიეშვილი — ტყიბულს, დოც. დ. მიქელაძე—თელავს და სხვ.

კიბოს საწინააღმდეგო კვირეულის შესახებ მომხსენებლებისათვის 21 ნოემბერს ქალაქის მეორე საავადმყოფოს ქირურგიული კლინიკის აუდიტორიაში მოწვეულია ლექტორ - მომხსენებელთა საინსტრუქციო თათბირი, რომლის ხელმძღვანელადაც გამოყოფილია პროფ. გ. ღამბარაშვილი.

მახარაძის რაიონის სოფ. შემოქმედის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. წიქარიძე და დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვი აზოვის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე მართა კიბა, რომლებმაც თავიანთი კოლმეურნეობების სახელით დასდეს სოციალისტური ხელშეკრულება. ფოტო ი. იმედაძისა.

სოციალისტური შეჯიბრება მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეთა შორის

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფ. შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობასა და უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვი აზოვს“ შორის.

ჩვენ, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის კოლმეურნეები შეუნელებელი ყურადღებით ვადევნებდით თვალყურს სოციალისტური შეჯიბრების გაშლას უკრაინის, სომხეთისა და საქართველოს კოლმეურნეებს შორის.

ამ შეჯიბრების შედეგად შევიტყეთ ის, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა კოლმეურნეობებმა თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე ვადაზე ადრე და დიდი გადაჭარბებით შეასრულეს, გაამრავლეს სტახანოველთა რიგები, გაადიდეს საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობა და კიდევ უფრო განამტკიცეს საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა.

ჩვენც ვებმებით მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვიწვევთ სოცშეჯიბრებაში დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის ბოლგრადსკის სასოფლო - საბჭოს კოლმეურნეობა „ნოვი აზოვს“, მართალია, ჩვენი კოლმეურნეობა არ არის მილიონერი, მაგრამ ჩვენ გაგვაჩნია ისეთი მიღწევები, რომლებითაც შეგვიძლია ვიამაყოთ. ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების შედეგად ჩვენ შევძელით ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდება ჰექტარზე 2500 კილოგრამამდე, რითაც მოვიპოვეთ საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მიღების უფლება.

თუ ჩვენი კოლმეურნეობის ორგანიზაციის პირველ წლებში ჩვენი შრომადღის ღირებულება 1 მანეთს არ აღემატებოდა, დღეს შრომადღეზე ვღებულობთ 8 მანეთამდე. ჩვენი კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი 700 ათას მანეთს აღწევს. დარწმუნებული ვართ, რომ სოციალისტური შეჯიბრება მოძმე უკრაინის კოლმეურნეებთან და მუშაობის გამოცდილების გაზიარება წინ წასწევს ჩვენს საქმეს და საშუალებას მოგვცემს ახლო მომავალში გავხდეთ მილიონერი.

ვიწვევთ რა სოცშეჯიბრებაში კოლმეურნეობა „ნოვი აზოვს“, სოფ. შემოქმედის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. 1939 წელს ჩაის პლანტაციების საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე ავიყვანოთ 3 ათას კილოგრამამდე.
2. ვადაზე და პირნათლად შევასრულოთ ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.
3. კიდევ უფრო განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა კოლმეურნეობაში.
4. მომავალი წლისათვის დავამთავროთ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის ინიციატივა ჩვენს კოლმეურნეობას ეკუთვნის.
5. უკრაინელ კოლმეურნეთა მაგალითის მიხედვით გავშალოთ მასობრივი თავდაცვითი მუშაობა სამხედრო ტექნიკის დასაუფლებლად, გავამრავლოთ ვოროშილოველ მსროლელთა რიცხვი.
6. წელს დავამთავროთ ხიდის მშენებლობა მდ. ბუეუზე.

დაწვრილებით ჩვენი მიღწევებისა და ცხოვრების შესახებ ჩვენ უკრაინელ კოლმეურნეებს მივწერთ წერილს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანოს „კომუნისტის“ საშუალებით და ვთხოვთ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანოს „კომუნისტს“ ხელი შეგვიწყოს ამ საქმეში და კოლმეურნეობა „ნოვი აზოვის“ მუშაობის შესახებ სისტემატურად მოგვაწოდოს ამბები.

ი

დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის ბოლგრადსკის სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „ნოვი აზოვის“ თავმჯდომარემ ამხ. მართა კიბამ სიამოვნებით მიიღო მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა გამოწვევა და იკისრა შემდეგი ვალდებულებები:

1. მომავალი წლისათვის კოლმეურნეობაში ხორბლეულის მოსავლიანობა, რაც შარშან საშუალოდ 20 ცენტნერს უდრიდა, გაადიდონ 25 ცენტნერამდე.
2. ბამბის მოსავლიანობა, რაც შარშან 7 ცენტნერს უდრიდა, გაადიდონ 8 ცენტნერამდე.
3. კოლმეურნეები ფართოდ ჩააბან თავდაცვა - ავიაქიმის წრეებში.
4. ყოველი საფურაჟე ძროხის წველადობა გაადიდონ 3500 ლიტრამდე.
5. ყოველ ცხვარზე მიიღონ 6 კილოგრამი მატყლი.
6. მოზარდი პირუტყვის ვამოზრდა უზრუნველჰყონ ასი პროცენტით.
7. მოაწყონ ვოროშილოველ მსროლელთა წრეები.
8. არ დაუშვან სამუშაოზე გამოუსვლელობისა ან დაგვიანების არცერთი შემთხვევა.

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას ხელს აწერენ:

საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის შემოქმედის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა დავალებით კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. წიქარიძე**, უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვი აზოვის“ თავმჯდომარე **მართა კიბა**.

თამბაქოს დამზადება

„საქთამბაქონედლეულის“ ცნობებით 15 ნოემბრისათვის

„საქთამბაქონედლეულის“ ცნობებით 15 ნოემბრისათვის დამზადებული იყო სეზონის დაწყებიდან 4.044,2 ტონა თამბაქო, წლიური გეგმის 26 პროცენტი.

თამბაქოს დამზადებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ლუქსემბურგის რაიონი, რომელსაც 15 ნოემბრისათვის წლიური გეგმა შესრულებული ჰქონდა 41,6 პროცენტით, ნოემბრის კი—101,2 პროცენტით. ჩამორჩენილი არიან: სიღნაღის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურისა და ზუგდიდის რაიონები. სიღნაღის რაიონს თამბაქოს დამზადების თვიური გეგმა შესრულებული აქვს 34 პროცენტით, ჩხოროწყუსას—36,8-ით.

15 ნოემბრისათვის ნოემბრის გეგმა შესრულებული ჰქონდათ აფხაზეთის ასსრ-ს—48,6 პროცენტით, აჭარის ასსრ-ს—74,4-ით, ლაგოდეხის რაიონს—83,8-ით, წითელწყაროს—55,1-ით, ყვარელს—89-ით, გურჯაანს—77,8-ით, ბორჩალოს — 75,2-ით.

ხალხთა მეგობრობის მგოსანი

(ერთი წელი აკოფ აკოფიანის გარდაცვალებიდან)

ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა საქართველოს და სომხეთის სახალხო პოეტი აკოფ აკოფიანი.

ორი მოძმე ერის სოლიდარობის განმტკიცების საქმეში აკოფ აკოფიანს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის.

ის იყო პროლეტარული მწერლობის ერთერთი ფუძემდებელი ჩვენში და პოეტი-ბოლშევიკი, რომელმაც თავისი ბედი დაუკავშირა ბოლშევიკური პარტიის ბრძოლას რუსეთის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის.

აკოფ აკოფიანი დაიბადა 1869 წელს. დაწყებითი სწავლა და საშუალო განათლება აკოფ აკოფიანმა სომხეთში მიიღო. მისმა ფაქიზმა პოეტურმა ბუნებამ შეუმჩნევლად არ დასტოვა ის უკულმართობა, რომელიც გამეფებული იყო მეფის რუსეთში განათლების დარგში.

ახალგაზრდა პოეტი ამხედრდა განათლების მაშინდელი სისტემის წინააღმდეგ. ამის გამო 16 წლის ჭაბუკი გამორიცხეს სომხეთის სამასწავლებლო სემინარიიდან, რის შემდეგ აკოფ აკოფიანმა გადასწყვიტა საბოლოოდ დამდგარიყო მეფის რეჟიმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის გზაზე. 1904 წელს აკოფ აკოფიანი შედის საკავშირო კომუნისტურ პარტიაში. თავის ენერგიული მუშაობით მან მალე დაიმსახურა ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ნდობა და სიყვარული. მალე აკოფ აკოფიანი აირჩიეს ამიერ-კავკასიის პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში. 1911 წელს პარტიული დავალებით ის გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც მოსალაპარაკებლად შეხვდა კარლ ლიბკნეხტს. 1914 წელს მან მონაწილეობა მიიღო ფინეთში გამართულ პარტიულ თათბირზე.

აკოფ აკოფიანის სამწერლო მოღვაწეობა თითქმის 50 წლის მანძილზე იშლება. სომხეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მწერლობა მტრულად შეხვდა ახალგაზრდა რევოლუციონერის გამოჩენას სამწერლო ასპარეზზე. ქართველ და სომეხ მშრომელთა სოლიდარობის ჰიმნმა, რომელსაც წარმოადგენდა აკოფ აკოფიანის პოეზია, ააფორიაქა სომხეთის ნაციონალისტური მწერლობა, რომელიც მაშინ აშკარა შოვინიზმს და კაციჭამიობას ჰქადაგებდა. აკოფ აკოფიანი ვერ გატეხა შოვინისტების შემოტევამ. განსაკუთრებით მწვავედ გაისმა მისი პროტესტის ხმა ნაციონალური შუღლის წინააღმდეგ.

1905 წლის რევოლუციას პოეტი აღფრთოვანებით შეხვდა. მან შესანიშნავად დასახურათა ამ რევოლუციის დიადი მისია.

„აქ ბრძოლაა, მკაცრი ბრძოლაა
ან სიცოცხლე, ან სიკვდილი,
უნდა იშვას, თავისუფალი
მზიურ ყოფის — [illegible]

რევოლუციის დამარცხებამ ვერ გასტეხა პოეტის რწმენა მუშათა კლასის განთავისუფლებისა. იგი დარწმუნებული იყო რომ მოვა დრო,

…„როს ტანჯული პროლეტარი
თვით განაგებს თავის ნაშრომს
ახალ ყოფით გულდამტკბარი“…

იმპერიალისტური ომის პერიოდში აკოფ აკოფიანი მტკიცედ დადგა ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე.

მკვეთრად გაისმის მისი პროტესტის ხმა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში დროებით დამკვიდრდა მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების დიქტატურა. აკოფ აკოფიანმა მწვავედ გაილაშქრა ამიერ-კავკასიის ხალხთა ამ უბოროტესი მტრების წინააღმდეგ. ის გამოსთქვამდა რევოლუციურ რწმენას, რომ ოქტომბრის იდეები აქაც გაიმარჯვებდნენ.

სოციალისტურმა მშენებლობამ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია აკოფ აკოფიანში. მისი პოემები „ვოლხოვშენი“, „ლენინგრადის პოემა“ და სხვ. სოციალისტურ მშენებლობის გამარჯვების რწმენითაა გაჟღენთილი. აკოფ აკოფიანმა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუტოვა გამარჯვებულ პროლეტარიატს.

მისი ლექსები და პოემები ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. ქართველ მკითხველებში ისინი აღვივებდნენ მშრომელთა ურთიერთ სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობას. განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მისი დამსახურება დღეს, როცა ქართველი და სომეხი კოლმეურნენი თავისი ძმობისა და სოლიდარობის მაღალ დემონსტრაციას ახდენენ. ხალხთა სტალინური მეგობრობა აკოფ აკოფიანის ხსოვნის სამარადისო და ხელთუქმნელი ძეგლია.

ა. ბ.

მეტი ყურადღება მეკამეჩეობის განვითარებას

საქართველოს სს რესპუბლიკაში პირუტყვის ჯიშობრივი დარაიონების გეგმის პროექტში რატომღაც სრულებით არ არის ნახსენები მეცხოველეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიცაა მეკამეჩეობა. ჩემის აზრით, ეს დიდი შეცდომაა, რადგან კამეჩი სავსებით ღირსია, რომ ჩვენს მეცხოველეობაში მას შესაფერი ადგილი მიეკუთვნოს. ამჟამადაც კამეჩის რაოდენობა, ძროხეულის სულადობასთან შედარებით, საქართველოს ზოგიერთ დაბლობ რაიონში 15—50 პროცენტს აღწევს. კამეჩი დიდიხანია ყურადღებას იქცევს თავისი ამტანობით, უხეში საკვების კარგად შეთვისების უნარით, ფართო ჩლიქების შემწეობით ჭაობიან ადგილებში გადასვლა - გადმოსვლის უნარით.

მაგრამ კამეჩის მთავარი ღირსება მისი რძის მოცემის უნარშია. თვითეული კამეჩი მოვლის პრიმიტიულ პირობებშიაც კი ყოველწლიურად იძლევა 800 — 1200 ლიტრ რძეს, რომლის ცხიმიანობა 7,5 პროცენტს აღწევს, ე. ი. კამეჩის პროდუქტიულობა ბევრგან გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ადგილობრივი ძროხისა.

საქ. მეცხოველეობის კვლევითი ინსტიტუტის ფერმაში ფურ-კამეჩებმა წელიწადში საშუალოდ 1835 ლიტრი რძე მოგვცეს, ცხიმიანობა კი 8,57 პროცენტს უდრიდა. ცალკეულმა კამეჩებმა მოიწველეს 2000—2800 ლიტრამდე რძე.

კამეჩის რძეს ძროხის რძესთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს ცილების რაოდენობითაც. ძროხის რძე შეიცავს 3,5 პროცენტ ცილას, კამეჩისა კი — 4,77 პროცენტს. ძროხის რძის სინოყივრე 750 კალორიას უდრის, კამეჩისა — 1150 — 1250-ს. ერთი სიტყვით, კამეჩი მოვლის შესაფერ პირობებში არაფრით არ ჩამოუვარდება მაღალი წველადობის ჯიშიან ძროხას.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რძიდან ცხიმის გამოსავლიანობა. მაგალითად, წითელი ჯიშის შვიცებს შეუძლიათ წელიწადში მოგვცენ დაახლოვებით 119,7 კილოგრამი ცხიმი, მეორე გენერაციის სიმენტალის მეტისს — 99,7, წითელ გერმანულს — 137, კამეჩს კი—139 კილოგრამი, ე. ი. კამეჩი რძის ცხიმის გამოსავლიანობით ყველაზე მაღლა დგას.

გარდა ამისა, კამეჩის რძისაგან კეთდება გაცილებით უფრო მაღალი ღირსების სულგუნი და მაწონი, ვიდრე ძროხის რძისაგან. ამავე დროს, ერთი კილოგრამი სულგუნის გასაკეთებლად ძროხის რძე საჭიროა 9—10 ლიტრი, კამეჩისა კი—6,5—7 ლიტრი.

აღსანიშნავია, რომ კამეჩი ძროხასთან შედარებით ხასიათდება უფრო მეტი გამძლეობით სხვადასხვა გადამდები ავადმყოფობის მიმართ.

ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ ჯერ კიდევ 1936 წელს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მეხუთე პლენუმზე მიგვითითა, რომ „მეკამეჩეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით საქართველოს დაბლობ რაიონებში (ყარაიას, ბორჩალოს რაიონებში, სამეგრელო, კახეთი) და აფხაზეთში“.

ამ მითითებით მტკიცედ უნდა ვიხელმძღვანელოთ. საჭიროა საქ. სს რესპუბლიკის პირუტყვის ჯიშობრივი დარაიონების გეგმაში შეტანილ იქნას მეკამეჩეობის განვითარება ისეთ რაიონებში, როგორიცაა ბორჩალო, ლუქსემბურგი, ყვარელი, თელავი, სიღნაღი, წითელწყარო, ხობი, ცხაკაია, ზუგდიდი, გალი და ოჩამჩირე.

გარდა ამისა, საქ. მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველომ და მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ამთავითვე უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები მეკამეჩეობის საჯიშე მეურნეობის მოსაწყობად.

თამარ ბოგბიტიძე

საქ. მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

„დიადი განთიადი“ მოსკოვის კინოთეატრებში

მოსკოვი, 19 ნოემბერი (საკ. კორ.). მეთოთხმეტე დღეა, რაც ფილმი „დიადი განთიადი“ მოსკოვის 11 კინოთეატრის ეკრანებზე მიდის. ამ ხნის განმავლობაში ფილმი ინახულა 800 ათასზე მეტმა კაცმა. ფილმი წინანდებურად მიდის ხალხით სავსე დარბაზებში. ყველა სეანსზე ბილეთები დილიდანვე იყიდება. კინოთეატრების დირექციებში გრძელდება მნახველთა აღფრთოვანებული შეფასებების მიღება. ბევრი შეფასება აქვს შეგროვილი ცენტრალურ კინოთეატრს, რომლის დირექცია ახლო ხანში აწყობს თავის მაყურებელთა შეხვედრას რეჟისორ ჭიაურელთან.

გაზეთი „კინო“ 17 ნოემბრის ნომერში ათავსებს მსახიობ ქ. შიუკაშვილისა და „დიადი განთიადის“ გადამღები ჯგუფის დირექტორის ამხ. ლ. თოთაძის სტატიებს, რომლებიც მოგვითხრობენ „დიად განთიადზე“ მუშაობის შესახებ. გაზეთს მოჰყავს აგრეთვე მოსკოვის ქარხნების მუშების, პარტიული მუშაკებისა და სამხედრო აკადემიის მსმენელების აზრები ფილმზე. ყველანი ერთხმად უწოდებენ „დიად განთიადს“ შესანიშნავ ნაწარმოებს, რომელსაც თავიდან ბოლომდე შეუსუსტებელი ინტერესით უცქერ.

„დიადი განთიადის“ ტირაჟი, რომლის დამატებითი დაბეჭდვა ხდება მოსკოვისა და თბილისის საკოპირო ფაბრიკებში, დაწესებულია 450 ეგზემპლარის რაოდენობით. ფილმის ასლები ახლა დაგზავნილია სსრ კავშირის 57 ქალაქში.

ვ. ყარა-მურზა

პროფ. გ. ნაზარიშვილი

რენტგენი და რადიუმი კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში

მე-19 საუკუნის დამლევს კაცობრიობა გამდიდრდა ორი დიადი აღმოჩენით. 1895 წელს ქ. ვიურცბურგის უნივერსიტეტის ფიზიკის პროფესორმა ვილჰელმ კონრად რენტგენმა აღმოაჩინა ახალი სახის, განსაკუთრებული თვისებების მქონე უხილავი სხივები, რომლებსაც მან იქსსხივები უწოდა. იმხანად რენტგენი იკვლევდა უკვე ცნობილ კათოდის სხივების თვისებებს და ერთ დღეს, ჩაბნელებულ ლაბორატორიაში, მან შეამჩნია ფლუორ ესცენცირებული ეკრანის მომწვანო ფერად შუქება. ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა მაშინაც, როდესაც მილი, რომლის საშუალებითაც რენტგენი ღებულობდა კათოდის სხივებს, დაფარული იყო მუყაოს ბუდეთი.

რენტგენისათვის ცხადი იყო, რომ მილში კათოდის სხივების გარდა წარმოიშობიან მისთვის უცნობი ახალი სხივები, რომლებიც გამოდიან მილიდან, გადიან მუყაოში და მოქმედებენ ეკრანზე.

1896 წელს ქ. ვიურცბურგის ფიზიკოსებისა და ექიმთა საზოგადოებაში რენტგენმა გააკეთა თავისი პირველი მოხსენება ახალი სახის სხივების შესახებ.

ცნობილი ანატომის კელიკერის წინადადებით, ამ აღმოჩენის უკვდავსაყოფად ამ სხივებს რენტგენის სხივები ეწოდა.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი დიადი აღმოჩენა შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. ცნობილი რომ არ ყოფილიყო გათხელებულ აირებში დენის გასვლის კანონები, აღმოჩენილი რომ არ ყოფილიყო კათოდის სხივები, არც რენტგენის სხივები იქნებოდა ცნობილი.

რენტგენის სხივების აღმოჩენამ მთელ რიგ სამეცნიერო დისციპლინებში მართლაც რომ რევოლუცია მოახდინა. სრულიად შეიცვალა ჩვენი შეხედულებანი მატერიის შენებაზე. მაგრამ განსაკუთრებით დიდია მნიშვნელობა რენტგენის სხივებისა მედიცინა - ბიოლოგიაში.

რენტგენი გარდაიცვალა 1923 წელს დიდ მატერიალურ გაჭირვებაში. რენტგენის სხივების აღმოჩენის შემდეგ ფრანგმა მეცნიერმა — ფიზიკოსმა ანრი ბეკერელმა 1896 წელს აღმოაჩინა ურანის რადიოაქტივობა. ამ აღმოჩენამ სათანადო ნიადაგი მოამზადა რადიუმის აღმოჩენისათვის.

ცოლ-ქმარმა მარი და პიერ კიურიმ ხანგრძლივი ქიმიური გამოკვლევების შემდეგ 1898 წელს შესძლეს მიეღოთ რადიოაქტიური ელემენტი, რომელსაც მათ რადიუმი უწოდეს. 1910 წელს მარი კიურიმ გამოჰყო რადიუმი ლითონის სახით.

როგორ არის გამოყენებული რენტგენისა და რადიუმის სხივები კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში?

კიბოს დაავადებათა ჭეშმარიტი ბუნება ჯერ კიდევ უცნობია. მაგრამ ერთი რამ უდავოა — კიბოს მორჩენა შეიძლება, თუ კი დიაგნოზი დროულად იქნება დასმული და სათანადო მკურნალობაც დროულად ჩატარდება. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია რენტგენისა და რადიუმის სხივების აღმოჩენა კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ავთვისებიან სიმსივნეთა გამოცნობისათვის ერთერთ ძირითად მეთოდად ითვლება რენტგენოლოგიური გამოკვლევა. ამგვარი გამოკვლევა დიდ დახმარებას უწევს კლინიცისტს დროულად გამოამჟღავნოს ავთვისებიანი სიმსივნე კუჭში, ნაწლავებში, თირკმლებში, ფილტვებში, შუასაყარში, ზურგისა და თავის ტვინში და ძვალოვან სისტემაში.

მარი კიური
1867 წ. — 1934 წ.

ვილჰელმ კონრად რენტგენი
1845 წ. — 1923 წ.

რენტგენოაპარატურისა და მილების გაუმჯობესებით, მათი სიმძლავრის გადიდებით, კონტრასტული მეთოდიკის და რენტგენოკიმოგრაფიის შემოღებით, ავთვისებიან სიმსივნეთა რენტგენოდიაგნოსტიკამ უკანასკნელ წლებში დიდ წარმატებებს მიაღწია და მომავალშიაც ფართო პერსპექტივები აქვს.

ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობისას რენტგენისა და რადიუმის გამა-სხივებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვეს. ავთვისებიან სიმსივნეთა თანამედროვე მკურნალობის ძირითად დებულებას წარმოადგენს კომბინირებული მეთოდი: ოპერაცია, რენტგენი, რადიუმი.

დაავადებათა ფორმის, ლოკალიზაციისა და ხანგრძლივობის მიხედვით მიმართავენ ან ოპერაციას სხივების თანდართვით, ანდა დამოუკიდებლივ მკურნალობას მხოლოდ რენტგენისა და რადიუმის სხივებით. კიბოს ზოგიერთი ფორმებისა და ლოკალიზაციის დროს სხივთა მკურნალობამ უპირატესი მნიშვნელობა მოიპოვა.

მკურნალობის ახალი მეთოდების მიხედვით მიღებულია ბრწყინვალე შედეგები მთელ რიგ ავთვისებიან დაავადებათა დროს, როგორიცაა საშვილოსნოს, სახის კანის, ყელის დაავადებანი.

ასეთსავე შედეგებს ვღებულობთ ემბრიონალური შენების მქონე ძლიერ ავთვისებიან სიმსივნეების, ე. წ. ემბრიოტიტომების მკურნალობის დროს.

დამოუკიდებლივ რენტგენოთერაპია ხმარებულია აგრეთვე ლიმფოსარკომისა და ლიმფოგრანულომატოზის დროს. სიმსივნის მაქსიმალური შემცირების მიზნით, ზოგიერთ შემთხვევებში სხივთმკურნალობა ოპერაციის წინაც იხმარება.

მაგრამ სხივთმკურნალობა უფრო ფართოდ იხმარება ოპერაციის შემდეგ პროფილაქტიკური მიზნით, რათა თავიდან აცილებულ იქნას კიბოს რეციდივი და მეტასტაზი.

უკანასკნელ შემთხვევებშიც რენტგენისა და რადიუმის სხივები იხმარება მხოლოდ პალიატივის სახით, ავადმყოფთა ტანჯვის შესამცირებლად და სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით. ავადმყოფების რენტგენო - რადიუმთერაპიაზე გაგზავნისას არ უნდა დავივიწყოთ ძირითადი დებულება: როგორც ოპერაციის, ისე რენტგენ-რადიუმთერაპიის შედეგი დამოკიდებულია უმთავრესად იმაზე, თუ დაავადების რომელ სტადიაშია იგი ხმარებული.

რაც უფრო ადრეა დაწყებული მკურნალობა, მით უფრო მეტი გარანტიაა კიბოსაგან განკურნებისა. კიბოს შორსწასულ შემთხვევებში, როდესაც ავადმყოფი ძლიერ დასუსტებულია, კახექსიურია, რენტგენისა და რადიუმის სხივებით მკურნალობას სარგებლობის ნაცვლად მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია.

მეფის რუსეთში რენტგენის კაბინეტების ქსელი სრულიად უმნიშვნელო იყო. ასეთივე მცირე იყო რადიუმის რაოდენობა. ოქტომბრის რევოლუციის პირველივე წლებში დაიწყო რენტგენის კაბინეტების ქსელის ფართოდ გაშლა და ამჟამად საბჭოთა კავშირის სამკურნალო დაწესებულებებში რამდენიმე ათასი კაბინეტი ითვლება.

ამჟამად ჩვენ ჩვენი მძლავრი სოციალისტური მრეწველობა გვაწვდის საკუთარი რენტგენის აპარატებს. თურქესტანში სწარმოებს მშობლიური რადიუმის მიღება მადნიდან, რომელშიც ურანი შეერთებულია ვანადიუმთან და კალციუმთან.

მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, არსებობს ყველა ხელსაყრელი პირობა კიბოს წინააღმდეგ ეფექტიური ბრძოლის ორგანიზაციისათვის.

პარტიული ცხოვრება

დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას

ჩვენი მუშაობა უნდა გარდაიქმნას

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" ჩვენი პარტკაბინეტის წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს, მოითხოვს ჩვენგან, რომ მაღალ იდეურ დონეზე ავიყვანოთ ბოლშევიზმის პროპაგანდა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებამ დაგვანახვა, რომ ჩვენ გვქონდა სერიოზული ნაკლოვანებანი პარტიული პროპაგანდის დაყენების საქმეში. პროპაგანდისტთა სემინარების მეცადინეობა დაბალ იდეურ - პოლიტიკურ დონეზე იდგა და პროპაგანდისტებს საკმაოდ ვერ აიარაღებდა მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიის ცოდნით. პარტკაბინეტი თუმცა ატარებდა ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს, მაგრამ იგი არასაკმაოდ კვალიფიციური იყო. მაღალკვალიფიციური მოხსენებები და ლექციები იშვიათად ეწყობოდა.

ახლა, როცა პოლიტწრეებში გაერთიანება და მეცადინეობებზე დასწრება ნებაყოფლობითია, პარტკაბინეტს დასჭირდება კვალიფიციური კონსულტანტების შერჩევა მაღალხარისხოვანი კონსულტაციების მოწყობის მიზნით, პირველ რიგში იმათ დასახმარებლად, ვინც ინდივიდუალურად მუშაობს ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიის ღრმად შესწავლისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით ჩვენს უახლოეს ამოცანას წარმოადგენს ხშირად მოვაწყოთ მოხსენებათა ციკლები საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებსა და ცალკეულ თეორიულ და პოლიტიკურ საკითხებზე. განზრახული გვაქვს კვალიფიციური მომხსენებლების საშუალებით ჩავატაროთ მოხსენებები არა მარტო საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ცალკე თავების მიხედვით, არამედ ლენინისა და სტალინის ცალკე ნაწარმოებთა მიხედვითაც.

პარტკაბინეტში და აგრეთვე რაიონის სხვადასხვა ორგანიზაციებში, ჩვენ შევაგროვეთ ინტელიგენტთა წინადადებანი. მრავალი ამხანაგი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ინდივიდუალურად შესწავლის დიდ სურვილს გამოსთქვამს. თავიანთ წინადადებებში მათ მოითხოვეს ხშირად ეწყობოდეს კვალიფიციური მოხსენებები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ცალკე საკითხებზე. ჩვენ ვფიქრობთ ასეთი მოხსენებები ჩავატაროთ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალში, „კავსტროიპუნქტში", კამოს სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში და სხვა ორგანიზაციებში.

კიროვის რაიონის პარტკაბინეტი ყველა დასკვნას გააკეთებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებიდან, საფუძვლიანად გარდაქმნის თავის მუშაობას და მაქსიმალურად დაეხმარება რაიონის პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს, ბოლშევიზმის დაუფლებაში, ლენინ-სტალინის პარტიის წარმტაცი ისტორიის ღრმად შესწავლაში.

მ. ივანიშვილი

თბილისის კიროვის რაიონის პარტკაბინეტის გამგე

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ინტელიგენციის თათბირი

ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის ინტელიგენცია უდიდესი ყურადღებით ეკიდება საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლას. ამ ინტელიგენციის საგრძნობ ნაწილს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილება აქვს. ბევრ მათგანს საშინაო ბიბლიოთეკა აქვს. ქარხნის ყოფილი ზეინკლის, ხოლო ამჟამად საამწყობო საამქროს უფროსის ამხ. კოპლავაშვილის ბიბლიოთეკა, პოლიტიკური, ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურის 1000 წიგნზე მეტს შეიცავს.

უკლებლივ ყველა ინჟინერმა, ტექნიკოსმა და ოსტატმა შეიძინა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო და შეუდგა პარტიის ისტორიის ღრმად შესწავლას.

ქარხანაში პარტკაბინეტთან ორჯელ შესდგა ინტელიგენციის თათბირი, ამ თათბირებს დაესწრო 80-ზე მეტი ინჟინერი, ტექნიკოსი, მოსამსახურე, ოსტატი და სხვა, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს. თათბირებზე გამოვიდნენ ამხ. ზექანოვი, მირზოევი და მრავალი სხვა, რომლებმაც მოუთხრეს თათბირს, როგორ სწავლობენ ისინი კომუნისტური პარტიის ისტორიას სტალინური სახელმძღვანელოს მიხედვით და მთელი რიგი წინადადება შეიტანეს ინტელიგენციის პოლიტიკური სწავლების უკეთ მოწყობისათვის.

თათბირებზე გამოსულმა ამხანაგებმა სთხოვეს ქარხნის პარტორგანიზაციას მოაწყოს პარტიის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე კვალიფიციური თეორიული ლექციები და აგრეთვე სისტემატურად ჩაატაროს საუბრები და მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობაზე.

ლექციები და კონსულტაციები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისას პარტიული აქტივისა და საბჭოთა ინტელიგენციისათვის

პარტიის მოსკვორეცკის რაიკომი (მოსკოვი) ამ უკანასკნელ დროს რაიონულ პარტკაბინეტში სისტემატურად აწყობს ლექციებსა და კონსულტაციებს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისას პარტიული აქტივისა და საბჭოთა ინტელიგენციისათვის. ბოლო დროს შესდგა 10-ზე მეტი ლექცია და მთელი რიგი კონსულტაციები.

იმათთვის, ვინც საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას ინდივიდუალურად სწავლობს, მოეწყო აგრეთვე კონსულტაციები იმის შესახებ, თუ დამოუკიდებლად როგორ უნდა იმუშაონ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებზე, როგორ შეადგინონ წაკითხულის კონსპექტი.

სერიოზულად ვიმუშაოთ საკუთარ თავზე

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოსვლამ ახალი მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები დააყენა პროპაგანდისტების წინაშე. საჭირო ხდება უფრო სერიოზული სწავლა, დაჟინებითი, სისტემატური მეცადინეობა თავისთავზე, წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ყველა ფორმისა და მეთოდის გამოყენება.

სრულიად უსაფუძვლოა ლაპარაკი, რომ „ძნელია" მარქსიზმ-ლენინიზმის პირველ წყაროებზე მუშაობა, ჩემი პროპაგანდისტული მუშაობის 6 წლის გამოცდილებით ვიცი, რომ თეორიული ცოდნის შეძენა, საკუთარი პოლიტიკური მომზადება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გიყვარს მუშაობა თავისთავზე, — არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ ყოველდღიურად. „საჭიროა, რათა თვითეულმა საბჭოთა ინტელიგენტმა შეიძინოს სისტემატური კითხვის ხალისი. წაკითხვის მოთხოვნილება სისხლსა და ხორცში უნდა გაუჯდეს მას, ყოველდღიურ ჩვეულებად უნდა გადაექცეს ისე, რომ, გამოტოვებს რა ერთ-ორ დღეს, იგი გრძნობდეს, რომ დღეს გაუკეთებელი დარჩა მნიშვნელოვანი, გადაუდებელი საქმე". („პრავდა").

ინდივიდუალური მუშაობა საკუთარ თავზე სრულებითაც არ გამორიცხავს აზრთა გაცვლა-გამოცვლას და ზოგიერთი საკითხზე კოლექტიურად მეცადინეობას. პირიქით, ეს ზოგჯერ აუცილებელია, ინდივიდუალური მეცადინეობის დროს მიღებული ცოდნის გაღრმავებისათვის.

წიგნზედ მუშაობა მოითხოვს დროის რაციონალურად გამოყენებას. ზოგი ტყუილ-უბრალოდ წუწუნებს დროის უქონლობაზე. ჩემი გამოცდილების მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ მონდომებისა და სურვილის შემთხვევაში ყოველთვის თავისუფლად შეიძლება გამოინახოს მეცადინეობისათვის საკმაო დრო სამსახურებრივ და საზოგადოებრივ დავალებათა შესრულების შემდეგ. საჭიროა მხოლოდ ვისწავლოთ დროის დაფასება, არ დავუშვათ მისი უსარგებლოდ ფლანგვა.

წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის პროცესში მე შევიმუშავე წესი, რომლის მიხედვით შესასწავლ მასალას ჯერ წინასწარ წავიკითხავ საერთო შთაბეჭდილების მისაღებად და მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებ მის შესწავლას. მასალის ღრმად შესწავლისათვის ხელახლა ვკითხულობ მას და ვადგენ კონსპექტს. როცა თემა რთულია, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მივმართავ კონსულტანტს ან ამხანაგებთან აზრთა გაცვლა-გამოცვლას. ვიყენებ საჭირო დამხმარე ლიტერატურას.

ჟურნალ-გაზეთებისა და მხატვრული ლიტერატურის კითხვა ძალიან მეხმარება პოლიტიკური საკითხების გაგება - შეთვისებაში, მნიშვნელოვნად აფართოებს ჩემი პოლიტიკური მომზადების ჰორიზონტს. ჩემს პროპაგანდისტულ მუშაობაში სისტემატურად ვიყენებ კონსულტაციებს როგორც ზეპირს, ისე ბეჭდვითი ხასიათისას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი გაზეთები დღემდე ნაკლებად ბეჭდავენ თეორიულ წერილებს პროპაგანდისტის დასახმარებლად და ამ მხრივ ვერ აკმაყოფილებენ ჩვენს გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ვ. ყურაშვილი.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი.

ეცნობიან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას

(ზუგდიდი, ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან)

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა. ისინი გულმოდგინედ ეცნობიან ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიულ დადგენილებას. 19 ნოემბერს შესდგა რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების პარტკომის მდივნებისა და პარტორგების სარაიონო თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა აღნიშნული დადგენილება.

21 ნოემბერს ჩატარდება პირველადი პარტორგანიზაციების კრებები ამ დადგენილების გასაცნობად.

პარტკომის მდივნები, პარტორგები და ყველა კომუნისტები ეცნობიან საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ".

ს. ებრალიძე

ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის განყ. პოლიტგანყოფილების პარტკაბინეტის გამგე ამხ. ბ. ღრუბელაშვილი კონსულტაციას უწევს ხაზიდან ჩამოსულ პროპაგანდისტებს საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორიის მოკლე კურსის მე-3 თავის შესახებ.

სურათზე: მარცხნიდან-მარჯვნივ: ს. ცხოვრებაძე, გ. ახობაძე, ი. ბახტაძე და ბ. ღრუბელაშვილი

ფოტო ვ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს" საქ განყ.)

ბიბლიოგრაფია

„ილია ჭავჭავაძის მკვლელობა"

საგამომძიებლო მასალები კ. გუგუშვილის რედაქციითა
და წინასიტყვაობით

სახელგამი, თბილისი. 1938 წ.

აღნიშნულ წიგნში მოთავსებულია საგამომძიებლო მასალები ი. ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ.

ამ მასალის გამოქვეყნება უსათუოდ ყურადღების ღირსია, რადგან დღემდე არავითარი დოკუმენტი ილიას მკვლელობის შესახებ არ გამოცემულა. 30 წლის წინათ წიწამურის გზაზე მომხდარი საიდუმლოებით მოცული ტრაღედიის კვანძის გახსნას დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ინტერესი საქართველოს ფართო მასებში.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავს რედაქტორი წიგნის წინასიტყვაობაში, რომ თვითმპყრობელობა საიდუმლოდ ინახავდა ილიას ვერაგულად მოკვლის შესახებ დაგროვილ დოკუმენტებს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქნა შესაძლებელი მისი პუბლიკაცია.

არქივის ამ მასალათა სისტემატიზაცია და გამოქვეყნების ინიციატივა ეკუთვნის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლის თავის იუბილეს მომწყობ რესპუბლიკურ კომიტეტს.

1907 წ. 30 აგვისტოს თბილისიდან საგურამოში ეტლით მიემგზავრება ილია ჭავჭავაძე. ილიასთან ერთად მიემგზავრება მისი მეუღლე ოლღა ჭავჭავაძისა, ლაქია იაკობ ბითარიშვილი და მეეტლე თედო ლაბაური. მგზავრებს წიწამურის გზაზე თავს დაესხნენ გარეწრები, რომლებმაც მოჰკლეს ილია, მოკლულ იქნა აგრეთვე ბითარიშვილი. მძიმედ დასჭრეს ოლღა ჭავჭავაძისა, ხოლო თედო ლაბაური უვნებლად გადარჩა.

მეფის ჟანდარმერიამ, მკვლელობის ნამდვილ მიზეზთა მიჩქმალვისა და პროვოკაციის გამოყენების მიზნით, აამუშავა გამოქნილი „შპიკების" მთელი არმია. დასაწყისში მეფის ოხრანკას გაუმართლდა, — ნასროლი მიზანს მოხვდა,—მაგრამ საქმის შემდგომი ძიების პროცესში, ზოგიერთ პირთა ობიექტურად დაინტერესებისა და ენერგიულად ჩარევის შედეგად მეფის ოხრანკის ავაზაკურ მოქმედებას ფარდა აეხადა.

წინამდებარე წიგნი შეიცავს საგამომძიებლო დოკუმენტების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელმაც დღემდე მოაღწია. აღნიშნული დოკუმენტების ნაწილი ინახება საისტორიო-რევოლუციურ არქივში და ნაწილიც საისტორიო არქივის განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდში. უდავოა, რომ ილიას მკვლელობის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგულია და მას ჩვენამდე არ მოუღწევია. ცხადია, მეფის ოხრანკა შეეცადა ვერაგული საქმის გამამჟღავნებელი საბუთების ლიკვიდაციას; სრულიად შემთხვევითმა გარემოებამ აწ უკვე დაცული დოკუმენტების ნაწილი, როგორც ხორცშესხმული პარკის ფუნქციათა შემსრულებელი, განადგურებას გადაარჩინა.

ეს დოკუმენტები შესაძლებლობას იძლევა ძირითადად დადგენილ იქნას მკვლელობის ორგანიზაციისა და შესრულების მთავარი მომენტები.

გამოქვეყნებული საგამომძიებლო მასალები ცხადჰყოფენ „წიწამურის ტრაგედიის". აშკარად მტკიცდება თვითმპყრობელური რუსეთის „ოხრანკისა" და საიდუმლო აგენტთა საშუალებით მხცოვანი პოეტისა და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესიული ქართველი ინტელიგენციის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის ი. ჭავჭავაძის მხეცური, პროვოკაციული მკვლელობა.

დოკუმენტები ამჟღავნებენ ერთის მხრივ მკვლელობის მონაწილეთ და მეორეს მხრივ—მათ ვინაობას; ასე, მაგალითად, უდავო ხდება ილიას უკანასკნელი მოურავის დიმიტრი ჯაშის პროვოკატორობა, მისი კავშირი თვითმპყრობელობის „ოხრანკასთან" და ამ უკანასკნელის უშუალო ხელმძღვანელი როლი ილიას მკვლელობაში.

საგამომძიებლო მასალით, ამ საქმეში პროვოკატორ დიმიტრი ჯაშის მონაწილეობის ეჭვმიუტანელ მატერიალურ საბუთს წარმოადგენს ამ უკანასკნელისა და მისი ნათესავების ბინების გაჩხრეკის დროს (მკვლელობის შემდეგ) ილიას სხვადასხვა ნივთების აღმოჩენა; უტყუარ საბუთს წარმოადგენს აგრეთვე დაკითხულ მოწმეებიდან ურიადნიკ ემეცის ჩვენება, რომელიც დიმიტრი ჯაშთან ერთად პირველად გამოცხადდა მკვლელობის ადგილას. ემეცმა დაკითხვის დროს უჩვენა: «Из моего разговора и наблюдения с управляющим нахожу, что он (ლაპარაკია ჯაშზე). все время держал себя очень странно. Во время разговора со мной, при такой печальной картине, он произнес между прочим: «Ну, слава богу, что и княгиню убили», და შემდეგ: «Джаши все время после преступления вел себя подозрительно» და სხვ.

თვითმპყრობელური რუსეთის მაშინდელ „ოხრანკას" იმ შემთხვევაში, თუ ამ საზიზღარი მკვლელობის პროვოკაციული ხასიათი გამომჟღავნდებოდა და იუდა ჯაშის პროვოკატორობა ქართველი საზოგადოებისათვის დაუფარავი გახდებოდა, რეზერვში ჰყავდა ალ. გრეკოვი, რომელიც ოზურგეთისა და სენაკის მაზრების და ფოთის გუბერნატორ გენერალ-მაიორ ტოლმაჩევის ბრმა იარაღს წარმოადგენდა.

ალ. გრეკოვი პროვოკატორ ტოლმაჩევის ნება-სურვილის ცუდი შემსრულებელი აღმოჩნდა: ის (გრეკოვი) 1908 წლის 15 აპრილს მესამედ დაკითხვის დროს გამოტყდა, რომ მის მიერ მიცემული წინა ორი ჩვენება არ შეეფერებოდა სინამდვილეს და განაცხადა: «По делу об убийстве кн. Ильи Чавчавадзе мне ничего не известно». და სხვ. ამრიგად, ალ. გრეკომ ვერ გაამართლა ოხრანკის „შპიკის" ტოლმაჩევის იმედები.

წიგნში საყურადღებოა პროვოკატორ დიმიტრი ჯაშის პირადად მცნობი პირების — დუშეთის მაზრის მაშინდელი უფროსის და ილიას მკვლელობის საქმის გამომძიების უშუალო მონაწილის ყარამან ფაღავას მოგონება. ინტერესს არ არის მოკლებული აგრეთვე ა. ვადაჭკორიას, ლ. ხელაძის და ფ. გოგიჩაიშვილის მოგონებები. ესენი კიდევ უფრო აშკარავებენ დიმიტრი ჯაშის, როგორც მეფის „ოხრანკის" ჯაშუშის და პროვოკატორის, ფიზიონომიას.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის გარეგანი გაფორმება დამაკმაყოფილებელია: წიგნის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საგამომძიებლო დოკუმენტები არ არის გადმოთარგმნილი ქართულ ენაზე და ამდენად ზოგიერთისათვის ხელმიუწვდომელი რჩება, რაზედაც თავის დროზე უნდა ეფიქრა სახელგამის ხელმძღვანელობას და წიგნის რედაქტორს.

ალ. გვასალია.

მუშსოფლკორთა რაიონული შეკრება ცხაკაიაში

ა. წ. 17 ნოემბერს ქ. ცხაკაიაში ჩატარდა გაზეთ „კომუნისტისა" და რაიონული გაზეთის „ავანგარდის" მუშსოფლკორთა რაიონული შეკრება.

შეკრებაზე მოსმენილ იქნა გაზეთ „ავანგარდის" პასუხისმგებელი რედაქტორის ამხ. აკ. კილასონიას მოხსენება მუშსოფლკორთა შორის მუშაობის გაუმჯობესების, ძირეული პრესისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევის შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო მიხელაშვილმა, შენგელიამ, ნადარაიამ, ბესელიამ, ოდიშარიამ, შურღაიამ, დადიანმა, კოკაიამ, ზინა ჟვანიამ, მარო ესებუამ და სხვ.

მოხსენებიდან, აგრეთვე კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ, მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, გაზეთ „ავანგარდის" რედაქციას მუშსოფლკორთა აღზრდისა და ძირეული პრესისათვის დახმარების გაწევის საქმეში აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი:

შეკრებაზე აღინიშნა, რომ გაზეთი „კომუნისტი" არასაკმაო დახმარებას უწევს რაიონულ გაზეთს და დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ კედლის გაზეთის რედაქტორებს.

მ. თევზაძე

კონსულტაცია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთათვის

რა არის მონისტური შეხედულება ისტორიაზე?

კითხვა. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის პირველ თავში მოხსენებულია პლეხანოვის წიგნი „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის". რას ნიშნავს მონისტური შეხედულება ისტორიაზე? — ზუდაევი, საკ. კ. პ. (ბ) კომინტერნის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტის გამგე (მოსკოვი).

პასუხი. თქვენს კითხვაზე, რომ გიპასუხოთ, ჯერ მოკლედ შევჩერდეთ იმის გამორკვევაზე, თუ რა არის მარქსისტული მატერიალიზმი და ისტორიის მატერიალისტური გაგება.

მარქსისტული მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ სამყარო არავის მიერ არ არის შექმნილი, რომ სამყაროს არ განაგებს არავითარი უზენაესი გონება, არავითარი სამყაროს სული.

მარქსისტული მატერიალიზმი შემდეგ ამტკიცებს, რომ გონება, ცნობიერება — ეს არის ტვინის პროდუქტი. ხოლო ტვინი—ეს არის ბუნების ნივთიერება, რომელიც გარკვეულად არის ორგანიზებული. ვიდრე ბუნებამ, მატერიამ არ მიაღწია განვითარების ისეთი საფეხურისათვის, ორგანიზაციის ისეთი სიმაღლისათვის, როგორისაც ტვინი წარმოადგენს, არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობიერება, აზროვნება. გამოდის, რომ ბუნება მარადიულად არსებობდა, ყოველივე ცნობიერებამდე და მისგან დამოუკიდებლად. ცნობიერება კი არის ბუნების პროდუქტი. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ბუნება **პირველადია**, ხოლო ცნობიერება — **მეორადი**.

ცნობიერება რაღა არის? ცნობიერება არის გარეგანი სამყაროს ნივთებისა და პროცესების ასახვა. თუ, მაგალითად, ავიღებთ სარკეს და მის გამოსახულებებს, სრულიად ნათელია, რომ, სარკის გარეშე არავითარი საგანი რომ არ არსებობდეს, იგი არავითარ გამოსახულებას არ მოგვცემდა. იგივე უნდა ითქვას ცნობიერებაზე, რომელიც დაპირობებულია ცნობიერების **გარეშე** საგნებისა და ნივთების არსებობით. წარმოდგენები, იდეები, რომლებიც ცნობიერებაში არსებობენ, არიან ასლები, სურათები ამ ნივთებისა და პროცესებისა, რომლებიც მის გარეშე იმყოფებიან. და თუ საგანს შეუძლია არსებობა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, პირიქით, ანარეკლი ცნობიერებაში ვერ იარსებებს გარეგანი საგნის გარეშე. „გამოსახულება, — ამბობს ლენინი,—აუცილებლად და გარდუვალად გულისხმობს იმის ობიექტიურ რეალობას, რაც „აისახება" (თხზ. კრ. ტ. XIII, გვ. 193). ამრიგად გამოდის, რომ გარეგანი სამყარო, ნივთებისა და პროცესების სამყარო, პირველადია, ხოლო მისი ამრეკლავი ცნობიერება — მეორადი.

ყველაფერი, რაც ცნობიერების დამოუკიდებლად და მის გარეშე არსებობს და აირეკლება ცნობიერებაში — შეგრძნობებში, წარმოდგენებში,—**მატერიის** სახელწოდებას ატარებს. მაშასადამე, მატერია პირველადია, ხოლო ცნობიერება მეორადი. აქედან წარმოსდგება სახელწოდება მატერიალიზმი, მატერიალისტები. მატერიალისტები ამ თავის სახელწოდებას ატარებენ იმიტომ, რომ აღიარებენ მატერიის პირველადობას ცნობიერების მიმართ.

მაგრამ საიდან ვიცით ჩვენ, რომ საგნის არეკლვა ჩვენს ცნობიერებაში არის ნამდვილი სამყაროს არეკლვა? ამაში ჩვენ ჩვენი პრაქტიკა გვარწმუნებს. ადამიანი ბუნებაში პასიური მაყურებელი ხომ არ არის, რომელიც უყურებს მას და სჭვრეტს მას. ადამიანი ზემოქმედებს ბუნებაზე, ებრძვის მას, ცდილობს და აღწევს ბატონობას ბუნების ძალებზე. ცხადია, სამყაროს ანარეკლი ადამიანის თავში სინამდვილეს რომ არ შეესაბამებოდეს, ადამიანის საქმიანობისაგან არაფერი ხეირიანი არ გამოვიდოდა. იგი იქნებოდა უშედეგო, უწარმატებო, იგი შეუძლებელი გახდებოდა. ამავე დროს არავინ არ გახდის სადავოდ იმ ფაქტს, რომ რაც დრო გადის, ადამიანი უფროდაუფრო მეტად ეუფლება ბუნებას, ხდება მისი ბატონი, ხოლო ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ ადამიანის ცნობიერება სულ უფროდაუფრო ღრმად იჭრება ბუნების საიდუმლოებებში, უფროდაუფრო უკეთესად შეიცნობს მას. ამგვარად, ბუნებისმეტყველების, მრეწველობის წარმატებანი, ადამიანის პრაქტიკის წარმატებანი—ამომწურავი მოწმობაა იმისა, რომ „სამყარო და მისი კანონზომიერებანი სავსებით შეცნობადია, რომ ჩვენი ცოდნა ბუნების კანონების შესახებ, ცდით, პრაქტიკით შემოწმებული, წარმოადგენს სარწმუნო ცოდნას, რომელსაც ობიექტურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვს, რომ სამყაროში არ არსებობენ შეუცნობადი ნივთები, არამედ არსებობენ მხოლოდ ისეთი საგნები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან შეცნობილი და რომლებიც გახსნილი და შეცნობილი იქნებიან მეცნიერებისა და პრაქტიკის ძალებით" (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 108. სახ. პოლიტგამომცემლობა. 1938). პრაქტიკა ადასტურებს სწორ იდეებს და უკუაგდებს ყოველგვარ ცრუ წარმოდგენებს და იდეებს, რომლებიც არ უპასუხებენ სინამდვილეს.

ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ მატერიალიზმი ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებას განსაზღვრავს საზოგადოებრივი ყოფიერება, რომ ადამიანთა ცნობიერებაში აირეკლება მათი მატერიალური ცხოვრება, რომ მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებული იდეები განისაზღვრებიან მატერიალურ დოვლათთა: საჭმლის, ტანისამოსის, ფეხსაცმლის, ბინის და სხვ. წარმოების წესით.

და ისევე, როგორც თავისი ცნობიერების მეოხებით ადამიანი შეიცნობს ბუნების კანონებს და ხდება ბუნების ბატონი, იგი შეიცნობს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, ხდება მათი ბატონი და სცვლის თავის საზოგადოებრივ ყოფიერებას.

ლაპარაკობს რა ცნობიერების როლზე წარმოების კაპიტალისტური წესის ცვლილებაში და მის შეცვლაში წარმოების სოციალისტური წესით, პლეხანოვი სწერს: „მაგრამ, — მსგავსად იმისა, როგორც ადამიანის გარემომცველმა ბუნებამ თვითონ მისცა ადამიანს მის საწარმოო ძალთა განვითარების პირველი შესაძლებლობა, და, მაშასადამე, ბუნების ბატონობიდან მისი თანდათანობით განთავისუფლების შესაძლებლობა,— წარმოების ურთიერთობას, საზოგადოებრივ ურთიერთობას, თავისი განვითარების საკუთარი ლოღიკით ადამიანი მიჰყავთ **ეკონომიური** აუცილებლობის მიერ მისი დამონების მიზეზთა შეცნობისაკენ. ამით იქმნება შესაძლებლობა **ცნობიერების** ახალი და საბოლოო გამარჯვებისა **აუცილებლობაზე, გონებისა ბრმა კანონზე**" (ტ. VII, გვ. 245).

ამგვარად, საზოგადოებრივ ცნობიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ისტორია შემდეგი, შესანიშნავად მკაფიო გამოთქმებით ლაპარაკობს:

„საზოგადოებრივი იდეები და თეორიები სხვადასხვანაირია. არის ძველი იდეები და თეორიები, რომლებმაც თავისი დრო მოსჭამეს და რომლებიც საზოგადოების დრომოჭმული ძალების ინტერესებს ემსახურებიან. მათი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აფერხებენ საზოგადოების განვითარებას, მის წინსვლას. არის ახალი, მოწინავე იდეები და თეორიები, რომლებიც საზოგადოების მოწინავე ძალების ინტერესებს ემსახურებიან. მათი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აადვილებენ საზოგადოების განვითარებას, მის წინსვლას, ამასთან ისინი მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ, რაც უფრო ზუსტად ასახავენ ისინი საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების საჭიროებებს.

ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები აღმოცენდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებამ საზოგადოებას ახალი ამოცანები დაუსახა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი აღმოცენდნენ, ისინი ხდებიან უაღრესად სერიოზულ ძალად, რომელიც აადვილებს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებით დასახული ახალი ამოცანების გადაჭრას, აადვილებს საზოგადოების წინსვლას. სწორედ აქ იჩენს თავს ახალი იდეების, ახალი თეორიების, ახალი პოლიტიკური შეხედულებების, ახალი პოლიტიკური დაწესებულებების უდიდესი მაორგანიზებელი, დამრაზმავი და გარდამქმნელი მნიშვნელობა". (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 111. სახ. პოლიტგამომცემლობა. 1938).

მაგრამ, აქვთ რა ასეთი უდიდესი **მნიშვნელობა** საზოგადოების გარდაქმნისათვის, ახალ საზოგადოებრივ იდეებსა და თეორიებს აქვთ თავისი **წარმოშობა** საზოგადოებრივ ყოფიერებაში, ადამიანთა ცხოვრების მატერიალურ პირობებში. მაშასადამე, მარქსისტული მატერიალიზმის ძირითადი დებულება იმის აღიარებაში მდგომარეობს, რომ როგორც ბუნების მიმართ, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ ადამიანთა ცნობიერება განისაზღვრება მათი ყოფიერებით.

პირდაპირ საწინააღმდეგო შეხედულებას იცავს იდეალიზმი. იდეალიზმი ამტკიცებს, რომ სამყარო თითქოს არის სულის შემოქმედება, შემომქმედის საქმე, რომელიღაც „უზენაესი გონების", „მსოფლიო იდეის" საქმიანობის პროდუქტი. იდეალიზმი აშკარად ეწინააღმდეგება სამყაროს ბუნებრივ-მეცნიერულ სურათს. ებრძოდა რა ბოგდანოვს და სხვებს, რომლებიც წარმომადგენლობდნენ იდეალიზმის ერთერთ ნაირსახეობას, ლენინი მათ პირდაპირ უყენებდა კითხვას: არსებობდა თუ არა დედამიწა ადამიანამდე? აზროვნობს თუ არა ადამიანი ტვინის დახმარებით? და სხვ., იმიტომ რომ მათი იდეალიზმი პირდაპირ ან არაპირდაპირ უარჰყოფდა ამას.

იდეალიზმი მიისწრაფის დაამტკიცოს, რომ ჩვენი წარმოდგენანი, იდეები არ წარმოადგენენ ჩვენს გარეშე არსებული სამყაროს ანარეკლს: იდეალისტების აზრით, სული აწარმოებს ჩვენს იდეებს, და არა გარეგანი სამყარო წარმოშობს მათ. იდეალისტები ცდილობენ ძირი გამოუთხარონ აგრეთვე მეცნიერული ცოდნის უცილობლობას. ისინი „ასაბუთებენ" მეცნიერებისადმი რწმენის უქონლობას. ზოგიერთი მათგანი იცავს „თეორიას" შემეცნების ეგრეთწოდებულ საზღვრების შესახებ, ირწმუნებიან, რომ არიან ნივთები, რომლებსაც მეცნიერება თითქოს ვერასოდეს ვერ ჩასწვდება, რომლებიც ამიტომ შეიძლება იყვნენ მხოლოდ საგანი ბრმა რწმენისა, რომელიც დაფუძნებული არ არის ცოდნაზე. ამ მტკიცებით, როგორც ამას ადვილად დავინახავთ, იდება ხიდი რელიგიისაკენ, რომელიც, არ ძალუძს რა ღმერთის არსებობის დამტკიცება, იმას ღა იმოწმებს, რომ იგი შეიძლება მხოლოდ გვწამდეს.

ამგვარად, იდეალიზმი ამტკიცებს, რომ სული არის **პირველადი**, დასაბამითი, ხოლო ბუნება, სამყარო, არის **მეორადი**.

ბრძოლა მატერიალიზმსა და იდეალიზმის შორის — ეს არის ბრძოლა ერთმანეთისადმი ძირეულად მტრულ ორ ხაზს შორის, ფილოსოფიაში ურთიერთ მტრულ ორ პარტიას შორის, ბრძოლა, რომელიც იდეოლოგიაში ასახავს ბრძოლას კლასებს შორის, — ამჟამად ბრძოლას მუშათა კლასსა, რომლის დროშას წარმოადგენს მარქსისტული მატერიალიზმი, და ბურჟუაზიას შორის, რომლის დროშას წარმოადგენს იდეალიზმი.

მაგრამ სწარმოებდა და სწარმოებს ამ ორი მტრული მიმართულების შერიგების ცდები. ეს ცდები მდგომარეობს იმის დამტკიცებისაკენ მისწრაფებაში, რომ მატერიაც და სულიც არსებობენ დასაბამიდან და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ასეთმა შეხედულებამ მიიღო „დუალიზმის" სახელწოდება (ლათინური სიტყვიდან „დუო", რაც ნიშნავს „ორს"), ვინაიდან მატერიალიზმის საწინააღმდეგოდ, რომელიც აღიარებს ერთ საწყისს, სახელდობრ მატერიას, და იდეალიზმის საწინააღმდეგოდ, რომელიც საწყისად სთვლის სულს, დუალისტებს გამოუდით ორი საწყისი: მატერიაც და სულიც.

„დუალიზმს,—სწორად შენიშნავს პლეხანოვი, — არასოდეს არ შეეძლო დამაკმაყოფილებლად ეპასუხნა გარდუვალ საკითხზე იმის შესახებ, თუ ამ ორ ცალკეულ სუბსტანციას, რომლებსაც ურთიერთშორის საერთო არა აქვთ რა, როგორ შეუძლიათ ერთმანეთზე მოახდინონ გავლენა" (ტ. VII, გვ. 62).

პირიქით, თანმიმდევრობითი მატერიალიზმი, როგორსაც წარმოადგენს მარქსისტული მატერიალიზმი, და აგრეთვე თანმიმდევრობითი იდეალიზმი წარმოადგენენ **მონისტურ** შეხედულებებს (ბერძნული სიტყვიდან „მონოს", რაც ნიშნავს „ერთიანი"), ვინაიდან ისინი ხედავენ ცხოვრების მხოლოდ ერთ საფუძველს, იმ კარდინალური განსხვავებით, რომ მატერიალისტებისათვის ამ საფუძველს წარმოადგენს ყოფიერება, მატერია, იდეალისტებისათვის — სული, იდეა.

პლეხანოვმა, უწოდა რა თავის შრომას „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის", მისცა მხოლოდ სხვა სახელწოდება ისტორიაზე მატერიალისტურ შეხედულებას, ვინაიდან, როგორც უკვე გამორკვეულია, მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე ითვალისწინებს ერთ ფესვს, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი განვითარების ერთ საფუძველს, სახელდობრ მატერიალისტურ საფუძველს.

მაშ რატომ არ ამჯობინა პლეხანოვმა თავისი წიგნისათვის პირდაპირ დაერქმია „ისტორიაზე მატერიალისტური შეხედულების დასაცავად"? ეს აიხსნება მეფის დროის ცენზურული პირობებით. ამ წიგნის სახელწოდების გამო პლეხანოვი სწერდა: „უფრო მარტივი იქნებოდა გვეთქვა ისტორიაზე მატერიალისტური შეხედულების დასაცავად ან მარქსიზმის დასაცავად".

გ. გაკი

„ვ პომოშ პარტიინოი უჩებე № 28".

ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის შემადგენლობა

პრაღა, 19 ნოემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობის შემცირებასთან და ჩეხიისა და სლოვაკიის მთელი რიგი პოლიტიკური პარტიების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, პარლამენტის პარტიულმა შემადგენლობამ ძლიერი ცვლილებები განიცადა. ახლა ყველაზე უფრო დიდია „ნაციონალური ერთიანობის" ახალი პარტიის საპარლამენტო ფრაქცია, რომელშიაც 100 დეპუტატი ითვლება; სოციალ-დემოკრატებს აქვთ 36 მანდატი (აქ შედის აგრეთვე სლოვაკიის ოთხი სოციალ-დემოკრატი დეპუტატი); სლოვაკიის გლინკის ნაციონალურ პარტიას ჰყავს 34 დეპუტატი. კომუნისტებს — 25, ჩეხ კათოლიკეთ (შრამეკის ჯგუფს)—11, გერმანელ „ნაციონალ - სოციალისტებს" (ყოფილ ჰენლაინელებს) — 5, გერმანელ სოციალ-დემოკრატებს—4, გაიდას ფაშისტურ პარტიას—5, უნგრელთა ფაშისტურ ბლოკს—3. არის კიდევ რამდენიმე წვრილი ჯგუფი.

ჩეხოსლოვაკიის ფაშიზაციის პროგრამა

პრაღა, 19 ნოემბერი (საკდესი). დღეს რადიოთი გადაცემულ იქნა „ნაციონალური ერთიანობის პარტიის" მიმართვა, რომელშიც გადმოცემულია მთავრობის ახალი პარტიის პროგრამის საფუძვლები. ახალ პარტიაში შედიან აგრარიები, ქივნოსტენელები, ჩეხი სოციალისტები, სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის პარტია „ნაროდნი სედნოცენი", ჩეხ კათოლიკეთა პარტიის ნაწილი და სტრშიბრნის ნაციონალური (ფაშისტური) ლიგა. მიმართვა აყენებს შემდეგ ლოზუნგებს: აქტიური თანამშრომლობა მეზობელ სახელმწიფოებთან, პირველ რიგში გერმანიასთან, კონსტიტუციის რეფორმა „ავტორიტარული დემოკრატიის" საფუძველზე; „მტკიცე ხელის" პასუხისმგებელი მთავრობის შექმნა, მთავრობისა, რომელსაც ექნება უფლება და შესაძლებლობა სწრაფად გადასჭრას საკითხები პარლამენტთან შეუთანხმებლად; საარჩევნო კანონის შეცვლა (სიების მიხედვით პარლამენტის დეპუტატთა არჩევნების პროპორციული სისტემის გაუქმება); სახელმწიფო აპარატის გაწმენდა ყველასაგან, ვინც კი „ხელს უშლის სახელმწიფოს ახალ ამოცანებს"; სოციალური უზრუნველყოფის რეფორმა (საქმე, ალბათ ეხება სპეციალურ მონაპოვართა წართმევას მშრომელებისათვის); სავალდებულო რელიგიური აღზრდისა და სწავლების შემოღება სკოლაში; „ოჯახი გადაიქცევა ერის დასაყრდენად" — წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა ქალებისათვის; ემიგრაციის საკითხების, კერძოდ ებრაელთა საკითხის რადიკალურად გადაჭრა და სხვ.

ახალი პარტია, — ნათქვამია მიმართვაში, — უნდა იყოს ერთადერთი მმართველი სახელმწიფო პარტია.

მთლიანად მიმართვა წარმოადგენს ფაშიზმის პროგრამულ დოკუმენტს.

ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის სესიაზე

პრაღა, 19 ნოემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის დღის სხდომა მიეძღვნა სლოვაკიისა და იმიერკარპატის უკრაინის ავტონომიის საკითხს. ორივე კანონპროექტი, რომლებიც დამტკიცებულია პალატის საკონსტიტუციო კომისიის მიერ (უმნიშვნელო ცვლილებებით), მიღებულ იქნა უკამათოდ. სლოვაკიის ავტონომიის კანონპროექტს ხმა მისცა 144 დეპუტატმა, წინააღმდეგ ხმა მისცა 29 დეპუტატმა (კომუნისტები „ნაროდნი სიედნოცენის" პარტიის 2 დეპუტატი და „სახალხო ლიგის" 2 დეპუტატი). იმიერკარპატის უკრაინის ავტონომიის კანონპროექტს ხმა მისცა 146 დეპუტატმა 25-ის წინააღმდეგ.

განხილვა კანონისა მთავრობისათვის განსაკუთრებულ რწმუნებათა მინიჭების შესახებ გადადებულია განუსაზღვრელი დროისათვის.

მუდმივი საპარლამენტო კომიტეტის შემადგენლობაში ნაცვლად პარლამენტიდან გასული დეპუტატებისა, რომელთაც გერმანიის, პოლონეთისა ან უნგრეთის ქვეშევრდომობა მიიღეს, არჩეულნი არიან — სიდორი, ეჟეკი, კუნდტი, სოკოლი, ხოლო კომიტეტის წევრის მოადგილედ — კომუნისტი დეპუტატი დოლანსკი.

სხდომის დახურვის წინ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ პრეზიდიუმში შემოვიდა კომუნისტი დეპუტატების — ზაპოტოცკის, შიროკისა და სხვათა მიერ შემოტანილი რეზოლუცია გენერალ სიროვის მთავრობის დეკლარაციის გარშემო. თავმჯდომარემ დასძინა, რომ ფორმალური მიზეზებით რეზოლუცია გამოქვეყნებული არ იქნება.

პარლამენტის სხდომა გადადებულია გამოურკვეველი დროისათვის.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ნაკრები ცნობების თანახმად 18 ნოემბერს ესპანეთში საომარ მოქმედებათა ყველა ფრონტზე სიწყნარე იყო.

ესპანის სააგენტო იუწყება, რომ იმ 7 კონტრშეტევის განმავლობაში, რომლებიც მეამბოხეებმა სექტემბერსა, ოქტომბერსა და ნოემბერში ებროს ფრონტზე მოაწყეს, უცხოელთა ავიაციამ 7 მილიონი კილოგრამი ყუმბარა ჩამოჰყარა.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი, შანხაელი და ლონდონელი კორესპონდენტებისაგან მიღებული ცნობების მიხედვით)

სამხრეთ ჩინეთში

ჩინეთის ჯარი, რომელიც აწარმოებს კონტრშეტევას კანტონზე, კვლავ უკან ახევინებს იაპონელებს და უკვე მიუახლოვდა ქალაქის მიდამოებს. იაპონიის მთავარმა ძალებმა, რომლებიც კანტონის მისასვლელთა საზღვრებს იცავენ, უკან დაიხიეს კანტონში და ახალ მაშველ ძალებს ელოდებიან.

ბოკატგრისის ფორტების რაიონში მოდიან იაპონიის ახალი მაშველი ძალები. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ამ რაიონში 10 ათასზე მეტი კაცი ჩავიდა. მოსული მაშველი ძალების დახმარებით იაპონელებმა დაიწყეს შეტევა ჩინეთის პოზიციების წინააღმდეგ და დაიკავეს ქალაქი დუნგუანი (შილუნის სამხრეთ-დასავლეთით). უკანასკნელ დღეებში კანტონს მიადგა იაპონიის 40-ზე მეტი სამხედრო გემი და ტრანსპორტი ახალი ჯარით.

ჩრდილოეთ ჩინეთში

17 ნოემბერს იაპონიის 13 თვითმფრინავი კვლავ უშენდა ყუმბარებს ქალაქ სიანს (შენსის პროვინციის დედაქალაქი). დანგრეულია 100-ზე მეტი სახლი, მოკლული და დაჭრილია 40 მშვიდობიანი მცხოვრები. იაპონიის თვითმფრინავებს ჩინელთა საზენიტო ქვემეხები ინტენსიური ცეცხლით შეხვდნენ.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

ამსტერდამი, 19 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორ.). ჰოლანდიის პატარა ქალაქში — არნჰემში შესდგა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-9 ტური.

ტურის დაწყების წინ საპატივცემულო ზეიმი გაუმართეს კაპაბლანკას, რომელსაც დღეს 50 წელი შეუსრულდა.

მსოფლიო ექს-ჩემპიონი კაპაბლანკა, რომელიც შავებით თამაშობდა ალიოხინთან, ცეიტნოტში მოხვდა და არსებული წესის თანახმად გამარჯვება ალიოხინს მიესაჯა.

ბოტვინიკ—კერესის პარტია გაიდო, დაახლოებით, თანაბარ მდგომარეობაში. ფლორი და ეივე მე-29 სვლაზე შეთანხმდნენ ყაიმზე. ფაინ—რეშევსკის პარტია გადადებულია რეშევსკისათვის უკეთესი მდგომარეობით.

გადადებული პარტიები გათამაშებული იქნება 21 ნოემბერს. მე-10 ტური შესდგება 20 ნოემბერს ქალაქ ბრედაში.

მოკლე ცნობები

- ● ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზის „პრაგერ პრესეს" მთავარი რედაქტორი ლაურინი გადადგა, რადგან ამ გაზეთს, რომელიც თავიდანვე დემოკრატიულ პოზიციაზე იდგა დევნა დაუწყეს აგრარულ-ფაშისტურმა წრეებმა. იუწყებიან, რომ მალე შესწყდება ამ გაზეთის გამოსვლა.
- ● სამხრეთ-აფრიკის კავშირის სამხედრო მინისტრი — პიროუ ბერლინს ჩავიდა.
- ● ესპანეთის მთავრობამ გადასწყვიტა სპეციალური დელეგაცია გაგზავნოს ანკარაში ქემალ ათათურქის დაკრძალვაზე დასასწრებლად.
- ● უკანასკნელ დღეებში ბუდაპეშტისა და სხვა ქალაქების მუშათა უბნებზე, უნგრეთის ჰიტლერელთა ბანდების თავდასხმის გამო მთელ რიგ რაიონებში მოეწყო პროლეტარული თავდაცვის რაზმები, რომლებიც არ უშვებენ ფაშისტებს მუშურ უბნებში. 17 ნოემბერს ბუდაპეშტის დიდ მეტალურგიულ საწარმოებსა და სტამბებში გაიმართა ნახევარსაათიანი საპროტესტო გაფიცვა ჰიტლერელთა უწესოების წინააღმდეგ. ვაჭრობის დარგის მოსამსახურეთა, მშენებელთა, ფეიქართა და სხვ. კრებებზე, მთავრობას წარუდგინეს მოთხოვნა ბოლო მოუღოს ჰიტლერელთა პროვოკაციებს.
- ● იუგოსლავიის პრინცი — რეგენტი პავლე ბელგრადიდან ლონდონს გაემგზავრა. იუგოსლავიას სურს გააფართოვოს თავისი ვაჭრობა ინგლისთან.
- ● როგორც „დეილი უორკეროს" დიპლომატიური მიმომხილველი იუწყება, 15 ნოემბერს ჩემბერლენმა ბერლინიდან მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გერმანიის მთავრობა „უდიდესი უკმაყოფილებით შეხვდებოდა" მოლაპარაკების განგრძობას ინგლისისა და საფრანგეთის გენერალურ შტატებს შორის.

ამხანაგ სტალინის მონუმენტი

სანაპირო ქუჩაზე, ახალგაშენებულ ყვავილნარში იდგმება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მონუმენტი ახალგაზრდა კომკავშირელ არქიტექტორის მ. გოზალიშვილის პროექტით. თბილისის ქალაქის საბჭო უკვე შეუდგა სამისო მუშაობას. ამჟამად მიმდინარეობს მიწის სამუშაოები.

ამხანაგ სტალინის მონუმენტი აგებული იქნება მაღალი ხარისხის მასალებისაგან. კვარცხლბეკზე, რომლის სიმაღლე 12 მეტრი იქნება, გამოიყენებენ წითელი და რუხი ფერის გრანიტს. ბელადის 5-მეტრიანი ფიგურა განზრახულია გამოიკვეთოს ეკლარის ან გოდოგნის თეთრი ქვის ერთი მთლიანი ზოდისაგან.

პროექტის მიხედვით, მონუმენტის კვარცხლბეკი გამშვენიერებული იქნება წყაროთი, რომელიც ერთგვარ არქიტექტურულ ანსამბლს შექმნის. სპეციალური მილით წყალი იღვრება თეფშში, ავსებს თეფშს და გადმონადენი წყალი ჩადის ნახევარწრიულ აუზში. ასე აქვს არქიტექტორს გააზრებული ეს დეტალი.

ამხანაგ სტალინის მონუმენტის საზეიმო გახსნა მოხდება 1939 წ. პირველ მაისს.

სპილო თბილისის ზოოპარკში

თბილისის ზოოპარკში მოსკოვიდან ჩამოიყვანეს დედა-სპილო „მალყა", რომელიც ექვსი წლისაა. მგზავრობა „მალკამ" კარგად აიტანა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეთვისებია ახალ გარემოს.

დედა-სპილოს სანახავად დიდძალი ხალხი მიდის ზოოპარკში.

(საქდესი).

რუს მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა

დღეს, 21 ნოემბერს, დღის 12 საათზე „მეტეხის" ხელოვნების მუზეუმში გაიხსნება მე-18—მე-19 საუკუნის რუსული მხატვრობის ცალკეულ ოსტატთა ნაწარმოებების გამოფენა, რომელიც ასახავს მე-18 და მე-19 ს. ს. რუს მხატვრების კავშირს ქართველ ხალხთან.

მე-18 საუკუნის მხატვრულ ნიმუშთა შორის აღსანიშნავია: ა. ანტროპოვის, დ. ლევიცკისა და ვ. ბოროვიკოვსკის ნამუშევრები. დიდი ოსტატობით არის შესრულებული დ. ლევიცკის — „უცნობი ქალის პორტრეტი" ვ. ბოროვიკოვსკის „ვასილევის მინიატურული პორტრეტი" და სხვ.

გამოფენაზე უფრო მრავალფეროვნად არის ნაჩვენები მე-19 საუკუნის მხატვრობა. ამ ციკლის სურათებში რუსული მხატვრობისათვის მეტად დამახასიათებელ ნაწარმოებებს წარმოადგენენ: ვ. ტროპინინის—„ქართველი ქალი", ნ. ჩერნეცოვის — „ბაგრატის ტაძარი", მ. ბოტკინის — „იტალიელი ქალი", ვ. ვასნეცოვის — „ბინიდან ბინაში" (ტუში), ვ. სურიკოვის — „შეშლილი ქალი", ი. რეპინის—„მოხუცის თავი". ვ. პ. ვერეშჩაგინის—„მამაკაცის პორტრეტი", ი. აივაზოვსკის, შიშკინის, ბოგოლიუბოვისა და ოსტროუხოვის პეიზაჟები, მ. ნესტეროვის, მ. ვრუბელის და ლევიტანის ნახატები ბატალისტი მხატვრების: ბაიკოვის, გ. ვილევალდის, რუბოს და სხვ. ნაწარმოებები. აქვე გვხვდება ვ. სურიკოვის—„უცნობი ქალი", სეროვისა და კრამსკოის ტილოები.

წარმოდგენილი სურათების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ თემატიკაზეა აგებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს გამოფენა წარმოადგენს რუსი მხატვრების ნაწარმოებთა პირველ გამოფენას, რომელიც შექმნილია ადგილობრივი მუზეუმის ფონდით.

გაიხსნა სიმფონიური კონცერტების სეზონი

17 ნოემბერს მოხდა საქ. ფილარმონიის სიმფონიური კონცერტების სეზონის გახსნა. რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

კონცერტის პირველი განყოფილება მიძღვნილი იყო ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორებისადმი. ფილარმონიის სიმფონიურმა ორკესტრმა დირიჟორ ალ. გველესიანის ხელმძღვანელობით შეასრულა რ. გაბიჩვაძის „სიმღერა სტალინზე" და ორატორია „ვეფხის - ტყაოსანზე". ამ უკანასკნელში ორკესტრთან ერთად მონაწილეობდა გუნდი და სოლისტი—რესპ. დამს. არტ. დ. ანდღულაძე. შესრულებული იყო აგრეთვე ვანო მურადელის „ქართული ცეკვა".

მეორე განყოფილება დათმობილი ჰქონდა მთლიანად პ. ჩაიკოვსკის. ამ განყოფილების ცენტრალური ნომერი იყო საფორტეპიანო კონცერტი № 1, რომელიც ორკესტრის თანხლებით შესანიშნავად შეასრულა ემილ გილელსმა.

ორკესტრმა შეასრულა აგრეთვე ჩაიკოვსკის იტალიური კაპრიჩო.

კონცერტის მეორე განყოფილებაში დირიჟორობდა ოდისეი დიმიტრიადი.

საქართველოს კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის ახალი მაღაზია რუსთაველის პროსპექტზე.
სურათზე: მომხმარებლები ახალ მაღაზიაში ჩაის ყიდულობენ.
ფოტო ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ამსტერდამში (ჰოლანდია) საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის გახსნის წინ გროსმეისტერი მ. ბოტვინიკი იღებს კენჭს ტურნირში მონაწილეობის რიგის გამოსარკვევად. „სოიუზფოტო".

ხელოვნება

„ცეცხლის ხაზზე"

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი განაგრძობს ისტორიულ-რევოლუციურ პიესათა ხაზს, რომელიც „ლადო კეცხოველით" დაიწყო. ამ ნაწარმოებმა, რომელშიაც მხატვრულად დამაჯერებლად იყო ასახული დიდი სტალინის თანამებრძოლის, მგზნებარე ბოლშევიკის ლადო კეცხოველის ცხოვრება და ბრძოლა, მხურვალე გამოძახილი ჰპოვა მაყურებლებში და ეს პიესა მოზარდთა თეატრიდან მოზრდილთა თეატრებშიც გადავიდა.

ამჟამად ნორჩ მაყურებელთა თეატრმა თავისი ყურადღება შეაჩერა საქართველოს კომკავშირის ორგანიზატორ ბორის ძნელაძეზე და შეეცადა გაეცოცხლებინა და მთელი თავისი მიმზიდველობით წარმოედგინა ახალგაზრდა თაობისათვის ეს გმირი, მებრძოლი. გ. ნახუცრიშვილის პიესა ამისათვის საკმაო მასალას იძლევა.

„ცეცხლის ხაზზე" მოგვითხრობს იმ თავდადებულ მუშაობის შესახებ, რომელსაც აწარმოებდა ბორის ძნელაძე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის დასარაზმავად მენშევიკური სატრაპების წინააღმდეგ. ბევრი ნამდვილი გმირი გამოიჭედა ამ ბრძოლაში.

ბევრმა მგზნებარე ახალგაზრდამ დასდო თავი ამ ბრძოლაში. მაგრამ, „სპარტაკელებს" არ აშინებდათ მენშევიკების რეპრესიები. მათი რიგები თანდათან იზრდებოდა, პარტიის ერთგული თანაშემწე — კომკავშირი ახალ-ახალ ძალებს იკრეფდა და მუდამ ცეცხლის ხაზზე იდგა.

ყველაფერი ეს მკაფიო მხატვრულ სახეებშია ჩამოსხმული, გ. ნახუცრიშვილის პიესაში. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის კარგად იცნობს ისტორიულ მასალას, მოხერხებულად ჰფლობს მას.

ამასთან „ცეცხლის ხაზს" აქვს ნაკლიც. ავტორს ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია სქემატიზმი, ბევრია პიესაში პუბლიცისტიკაც. მაგრამ ყველაფერი ეს ვერ ჩრდილავს იმ ნათელ შთაბეჭდილებას, რომელსაც პიესა ახდენს. კომკავშირის 20 წლისთავზე „ცეცხლის ხაზზე" კარგი საჩუქარია ჩვენი მოზარდი თაობისათვის.

თეატრმა ეს სპექტაკლი მცირე ვადაში მოამზადა, და ეს არ მომხდარა ხარისხის ხარჯზე. მართალია, არის ზოგიერთი ტექნიკური შეუსაბამობანი, უმთავრესად სინათლის გამოყენებასთან დაკავშირებული, მაგრამ ეს ადვილი გამოსასწორებელია. „ცეცხლის ხაზზე" ღირს იმად, რომ თეატრმა მასზე კიდევ გააგრძელოს მუშაობა.

სპექტაკლი დადგმულია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რესპ. დამს. არტისტის ალ. თაყაიშვილის მიერ.

რეჟისორის მუშაობა უმთავრესად თავს იჩენს როლების გაგებაში. სახეები გახსნილია ზუსტად, რეალისტურად. ზედმეტი მანჭვა-გრეხის გარეშე. ზომიერება, ტაქტი, რეჟისორის მხატვრული ხელი თან სდევს სპექტაკლს მთელს მანძილზე.

რეჟისორის განზრახვა თუ ადვილად აღწევს მაყურებლამდე, ეს პირველ რიგში აქტიორთა ნიჭიერი თამაშის შედეგია. ბორის ძნელაძის უდაოდ საინტერესო სახე შექმნა ნ. მიქაშავიძემ. ამ მსახიობში უმთავრესად დასაფასებელია მისი გულწრფელობა, უბრალოება. ნ. მიქაშავიძე თამაშობს ძალდაუტანებლად და ალაგ-ალაგ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. მშვენიერია სცენა, სადაც საფრთხეში ჩავარდნილი ბორის ძნელაძე გვარდიის წარმომადგენლად გაასაღებს თავს და ხელიდან დაუძვრება მის დასაპატიმრებლად მისულ რაზმელებს.

თ. თვალიაშვილს (ნინო) თავისი ემოციურად ძლიერი თამაშით დაჭიმულ მდგომარეობაში ჰყავს დარბაზი. ამ როლით თამარ თვალიაშვილმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ ის ისევე ძლიერია ქალის როლებში, როგორც ვაჟისაში (აქამდე თ. თვალიაშვილი თითქმის სულ ბიჭების როლში გვევლინებოდა).

ბოლშევიკ მებრძოლების სიმტკიცე და თავდადება კარგად არის ხაზგასმული ა. ყასაშვილის, ს. გამრეკელისა და გ. დარისპანაშვილის თამაშში.

მიმზიდველია პატარა თინიკოს როლში ელ. ურუშაძე.

უარყოფითი ტიპების გალერიიდან საინტერესო სახეები გამოკვეთეს ალ. კაჭკაჭიშვილმა (მინისტრი), ნ. სირბილაძემ (მარგო), მ. აღნიაშვილმა (გრიშა), ვ. ძაგნიძემ (გენერალი ბარათოვი), რესპ. დამს. არტ. ნიკო გვარაძემ (ინგლისელი გენერალი), ვ. შახელმა (თარჯიმანი), დ. კობახიძემ (რაზმის უფროსი).

ტიპიურია მენშევიკ ბანდიტის როლში მსახიობი კ. ხუნდაძე. მისი მხარმოქცეული სიარულიც, ლაპარაკის მანერაც საუცხოოდ გადმოგვცემს მხეცურ სახეს იმ ადამიანებისას, რომლებიც ბოლშევიკებზე ნადირობაში ხედავდნენ თავისი ცხოვრების მიზანს.

„ცეცხლის ხაზი" თვალსაჩინო წინსვლაა ისტორიულ-რევოლუციური თემატიკის დაუფლების გზაზე. მას ინტერესით ნახავს ყველა ასაკის მაყურებელი.

შ. ბუაჩიძე

○

„კოლმეურნის ქორწინება" მარჯანიშვილის თეატრში

დღეს, 21 ნოემბერს, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მორიგ პრემიერად წარმოდგენილ იქნება დრამატურგ პოლიკარპე კაკაბაძის ახალი 3-მოქმედებიანი კომედია „კოლმეურნის ქორწინება".

სპექტაკლში მონაწილეობენ: ს. თაყაიშვილი, თ. ჩარკვიანი, ა. ღონჟანელი, კ. სვანაძე, გ. შავგულიძე, შ. ჯაფარიძე, ს. ზაქარიაძე, კ. კვანტალიანი, მ. მგელაძე, ი. ქოქრაშვილი, ლ. შატბერაშვილი, ჰ. ბეგალიშვილი, გ. კოსტავა, ს. რამიშვილი, მ. სულთანიშვილი, შ. გეჯაძე, ი. ქუთათელაძე, ს. ახალაძე, ნ. ბოლქვაძე, გ. ნაკაიძე, ვ. ჩხეიძე და სათეატრო სასწავლებლის სტუდიელები.

პიესის დადგმა ეკუთვნის რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს შ. ღამბაშიძეს. მხატვარი კ. სანაძე, მუსიკა გ. კოკელაძისა.

სასამართლო

ალმაშფოთებელი საზიზღრობა

19 ნოემბერს საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ ამხ. ივ. სანთელაძის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის, პროკურორ ამხ. შეწირულის მონაწილეობით, დაიწყო ალექსანდრე იოსების-ძე ხვადაგიანის, ლიდა გრიგოლის-ასული თოდაძისა და ოლღა დავითის-ასული სოლოლაშვილის საჯარო გასამართლება. მათთან ერთად საბრალდებულო სკამზე ზის აგრეთვე ალექსანდრე ხვადაგიანის ძმა გერმანე ხვადაგიანი, რომელიც თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით (ის იყო თბილისის ერთ-ერთი რაიონის პროკურორი) წლობით აჭიანურებდა საქმის გახსნას.

პირველ სამ ბრალდებულს წაყენებული აქვს ბრალდება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 17^{8} და 58^{17} მუხლებით. მათ ბრალი ედებათ იმაში, რომ ბრალდებულებმა ა. ხვადაგიანმა და ლ. თოდაძემ ურთიერთდამოკიდებულების უფრო გაღრმავებისა და საბოლოოდ ცოლქმრული ურთიერთობის დამყარებისათვის 1935 - 1936 წლების პერიოდში მოწამვლით სიცოცხლეს გამოასალმეს ალექსანდრე ხვადაგიანის ცოლი ალექსანდრა და ლიდა თოდაძის ქმარი ლავრენტი. ბოროტმოქმედნი ამითაც არ დაკმაყოფილდნენ და ცოლისა და ქმრის თავიდან მოშორების შემდეგ ხელი მიჰყვეს პატარა ბავშვების მოწამვლასაც. მათ სიცოცხლე მოუსპეს ალექსანდრე ხვადაგიანის 2 წლის გოგონას მზიას. ამ საზიზღარ მკვლელებს განზრახული ჰქონდათ სულ ამოეწყვიტათ თავისი პატარა ბავშვები, მაგრამ მათ დანაშაულზე წაასწრეს და სამართალში მისცეს. მათ ამ საზიზღრობის ჩადენაში ხელს უწყობდა ო. სოლოლაშვილი.

სასამართლოს პირველ და მეორე სხდომებზე დაკითხულ იქნენ ბრალდებულები ა. ხვადაგიანი და ლ. თოდაძე. ისინი თავს არ სცნობენ დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში.

პროცესი გრძელდება.

მ. სურგულაძე

სამი ქალაქის მატჩი

4, 5 და 6 დეკემბერს, სტალინური კონსტიტუციის დამტკიცების აღსანიშნავად, მოსკოვში შესდგება მატჩი მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის ფრენბურთელ მამაკაცთა ნაკრებ გუნდებს შორის.

მატჩის დროს ეწყობა დედაქალაქის ქალთა და ბავშვთა უძლიერესი გუნდების საჩვენებელი გამოსვლები.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

21 ნოემბერს:

ალკკ კაბინეტი — 1) ლექცია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის III თავის მიხედვით: მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომის და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1904-1907 წლები). ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. მოისწრაფიშვილი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

2) ლექცია: დიალექტიკური მატერიალიზმი მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობაა. ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. სახაროვი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1523925, გაცემული იმავე რაიკომის მიერ 1936 წლის 4 აგვისტოს ნიკოლოზ ზაქარიას-ძე გოგრიშვილის სახელზე, და პარტბილეთი № 1523889, გაცემული იმავე რაიკომის მიერ 1936 წლის 2 აგვისტოს ვასილ გრიგოლის-ძე ელიზბარაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ქვანახშირი და მარგანეცი

19 ნოემბრისათვის.
(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1026	988	98,8
ტყვარჩელი	717	746	104
ჭიათურა	5530	4645	84*

*) ჭიათურის ცნობა 18 ნოემბრისაა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრი
1938-39 წ. სეზონი.

21/XI	22/XI	23/XI
მუდმ. ადგ. ტალ. № 29 აბ. სერ. № 3 ქეთო და კოტე	მუდმ. ადგ. ტალ № 30 პიკის ქალი	მუდმ. ადგ. ტალ. № 31 ესმერალდა

დასაწყისი 8 საათზე

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
21, 22 და 23 ნოემბერს
პ. კაკაბაძე
პრემიერა
კოლმეურნის ქორწინება
კომედია 3 მოქმ.
დადგმა—შ. ღამბაშიძის (რესპ. დამსახ. არტ.).
მხატვარი—კ. ხანაძე, კომპოზიტორი—გ. კოკელაძე
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. 2—2 100

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

21/XI	წარმოდგენა 52 ფოლადაური
22/XI	წარმოდგენა 53 ოტელო
23/XI	წარმოდგენა 54 ულანამაულოდ დამნაშავენი

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

ექიმი
მძინარიშვილი
ვენერიული, სიფილისი და კანის სნეულებანი, სქესობრივი, სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა), ქალთა და ბავშვთა გონორეა.
ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალების და ბავშვთა საღ. 6—7 საათამდე, გრიბოედოვის ქ. № 20, ბინა 38, მე-4 შესავალი. მე-2 სართული
10—10 19577

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში
1938 წ. 13 დეკემბერს პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ზ. კიკნაძე დაიცავს დისერტაციას თემაზე: „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური შეხედულებანი".
ოპონენტები: პროფ. გ. თავზიშვილი და დოც. ი. კაჭარავა.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
90 უნივერსიტეტის რექტორი დ. უიფშიძე.

საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი

ბალანსი საქ. ყველტრესტისა 1938 წლის 1 იანვრისათვის

(ათას მანეთებში)

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა 1937 წლ. 1 იანვრისათვის	თანხა 1938 წლ. 1 იანვრისათვის
1	ძირითადი საშუალებანი (შენობები, ნაგებობანი, მანქანები, ხელსაწყოები. ინვენტარი და სხვ.	3.209,4	3.733,9
2	ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალა, სათბობი, ტარა	801,5	1.028
3	საქონელი და მზა პროდუქცია	9.121,6	4.062,2
4	გაგზავნილი საქონელი და შესრულებული სამუშაო	1.398,2	1.101,2
5	საშუალებანი ანგარიშსწორებებში (დებიტორები)	714,3	783,1
6	ფულადი საშუალებანი (საანგარიშსწორებო ანგარიში, სალარო)	464,7	911,3
7	ხარჯები მომავალი წლების ანგარიშში	37,1	16,8
8	დანარჩენი აქტივები (ფასიანი ქაღალდები და სხვ.)	244,8	712,8
9	შინაგანი ანგარიშსწორებები	—	102,7
	ბალანსი	15.991,6	12.452

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა 1937 წლ. 1 იანვრისათვის	თანხა 1938 წლ. 1 იანვრისათვის
1	საწესდებო ფონდი	2.909,1	4.242,7
2	დანარჩენი ფონდები	94,4	173,3
3	რეზერვები და მომავალი გადასახდელები	29,7	78,9
4	მოკლევადიანი საბანკო კრედიტები	9.668,1	4.834,1
5	ანგარიშსწორებანი კრედიტორებთან	2.505,6	1.826,5
6	დანარჩენი პასივები	48,1	26,1
7	შინაგანი ანგარიშსწორებები	161,5	164,6
8	მოგება საანგარიშო წლისა	575,1	1.105,8
	ბალანსი	15.991,6	12.452

1937 წლის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები.

ა) წარმოების ხაზით

1. პროდუქციის გამოშვება:
   - ა) 1937 წლის საბითუმო გასაშვებ ფასებში — 19.033,8 ათ. მან.
   - ბ) პროცენტობით გეგმის მიმართ (უცვლელ ფასებში) — 74,3%
   - გ) პროცენტობით გეგმის მიმართ ნატურით — 79,8%
2. თვითღირებულება გადიდებულია გეგმის წინააღმდეგ საქარხნო ღირებულებით — 2,95%
   კომერციული თვითღირებულებით — 10,4%
3. შრომის ნაყოფიერება პროცენტობით გეგმის მიმართ — 85,2%
4. ერთი საწარმოო მუშის საშუალო ხელფასი პროცენტობით გეგმის მიმართ — [illegible],6%
5. ანარიცხები წლის განმავლობაში წარმოების დირექტორის ფონდში — 63,4 ათ. მან.
6. დახარჯულია დირექტორის ფონდის ანგარიშში — 38,7 ათ. მან.
   აქედან დახარჯულია:
   - ა) კულტსაყოფაცხოვრებო საჭიროებებზე — 15,7 ათ. მან.
   - ბ) დაჯილდოებაზე — 12,2 ათ. მან.
   - გ) გეგმის გარეშე კაპიტალურ დაბანდებებზე — 10,8 „ „
7. გადახარჯვები და დანაკარგები:
   - ა) გადახარჯვები საერთო საქარხნო ხარჯების ხაზით — 113,6 ათ. მან.
   - ბ) გადახდილი საურავი, ჯარიმა, საუპირო — 54,6 „ „
   - გ) მიღებული საურავი, ჯარიმა საუპირო — 223,1 „ „
   - დ) ნედლეულის, მასალის, სათბობის და პროდუქტების ნაკლებობა საწყობებში — 14,5 „ „

ბ. კაპიტალური მშენებლობის ხაზით.

1. კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულებულია — 88,3%-ით
2. შესრულებულია სამუშაო:
   - ა) გეგმით გათვალისწინებული ღირებულებით — 896,8 ათ. მან.
   - ბ) ფაქტიური ღირებულებით — 1004,6 „ „
3. გადაცემულია საექსპლოატაციოდ ფაქტიური ღირებულებით — 746,8 „ „

საქყველტრესტის დირექტორი **ბარძიმაშვილი**. მთავარი ბუღალტერი **ხატიაშვილი**.

ბალანსი და მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ.

1314

საქ. სსრ კვების სახ. კომისარიატის მთავარი ბუღალტერი **ჟურადაშვილი**.

მისამართი რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ქამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ე—209